ISSN 1987-5355
9 771987 535007

#34
2010
February, March

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN



# სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი


ახალი ნათება
NEW
ახალი მაღაზია
ვარკეთილის 116-ში
PHILIPS
Living colors
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ
D. Agmashenebeli alley 12th km
www.newlight.ge Tel: 596-596


შ.პ.ს. ინსტა
insta
ელექტრო, ტელეკომუნიკაცია,
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი
ოფისი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8.
ტელ.: 20 20 20/21, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge
მაღაზია: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge
www.insta.ge

**გამომცემელი** - კომპანია **არქიტექტორთა კლუბი,**
**სტილი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**დირექტორი** - ეკა ჯავახიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე
**თარგმანი** - ნატა კურტანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე

**PUBLISHER -** Company **ARCHITECTURAL CLUB,**
**STYLE** & Dimitri Mosulishvili
**DIRECTOR -** Eka Javakhishvili
**EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze

კომპანია "სტილი", კომპანია არქიტექტორთა კლუბი"
0160 თბილისი, პეკინის ქ. N33
ტელ/ფაქსი: 37-26-34.
მობ: 877 44-86-00, 893 42-74-73

33 Pekini Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 37-26-34
Mob: (+995 77) 44-86-00, (+995 93) 42-74-73

http://www.style-magazine.com.ge
E-mail: inbox@archistyle.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე**
**რედაქცია პასუხს არ აგებს**

საქართველოს
არქიტექტორთა კავშირი

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტურულ-დიზაინერული ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

# რედაქციისგან!

2010 წლის დასაწყისში კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გადავავლოთ ჩვენს მოღვაწეობას, შევაჯეროთ და შევაფასოდ იგი, დავსახოთ ახალი. ჟურნალის დაარსებიდან თერთმეტი წლის მანძილზე გამოცემული „სტილის“ ნომრებში, ქრონოლოგიურად, შეძლებისამებრ მაქიმალურად წარმოვაჩენდით სიახლეებს მშენებლობის, არქიტექტურის და ხელოვნების სფეროებში, შედეგად მრავალი ახალი შემოქმედებითი სახე, საინტერესო ნამუშევარი თუ პროექტი გამოვლინდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო კონკურსების - „არქიტექტურული პრემია“ ჩატარებამ. პროექტს ოთხი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. იგი წარმატებული აღმოჩნდა. ინტერესი კონკურსის მიმართ ყოველწლიურად იზრდება. ამას მოწმობს მასში მონაწილე ქართველი და უცხოელი არქიტექტორების მიერ წარმოჩენილი რეალიზებული ობიექტების, საინტერესო პროექტების მრავალფეროვნება. 2009 წელს ჩვენი ეგიდით გამოიცა წიგნი „საქართველოს არქიტექტურა და თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“. მისი აქტუალურობიდან გამომდინარე უკვე მზადდება წიგნის II ნაწილი.

დიდი მადლობა ჩვენთან თანამშრომელ ყველა არქიტექტორს და კომპანიას. სწორედ მათი ძალისხმევით ჩნდება საინტერესო სამომავლო პერსპექტივები ჩვენს ერთობლივ საქმიანობაში.

2010 წლიდან ჟურნალი „სტილის“ რედაქცია, „არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი UIA“ და ნაციონალური სექცია „საქართველოს არქიტექტორთა კავშირი“ იწყებს მჭიდრო თანამშრომლობას, მშენებლობის და არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, ვაცნობიერებთ რა, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში არქიტექტურული განათლებისა და არქიტექტურული მოღვაწეობის მნიშვნელობას, ჩვენს უპირველეს მოვალეობად მივიჩნევთ საქართველოში არქიტექტურული დარგის განვითარების ხელშეწყობას.

კერძოდ:

– არქიტექტურული სკოლების ხელშეწყობა;
– არქიტექტორთა მოღვაწეობის პოპულარიზაცია;
– საერთაშორისო და ქვეყნის შიდა არქიტექტურული კონკურსების ორგანიზება.

*საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე*
*დავით აბულაძე*

*ჟურნალი სტილის რედაქტორი*
*ნინო ლაღიძე*

# EDITORIAL

Year 2010 gives us a fresh opportunity to take a look at our past activities, evaluate their results and set new goals.

During 12 years, which passed since the day of its founding, STYLE Magazine chronologically covered construction, architecture and art news, introduced new faces and publicized interesting artistic works and initiatives. This process was largely facilitated by international competition Architectural Award – the project, which we launched four years ago. This competition, which enjoyed success and attracted considerable number of participants, soon acquired international status and currently features a highly diverse range of interesting projects, created by Georgian and foreign authors. In 2009 STYLE Magazine issued publication “Georgian Architecture and Contemporary Georgian Architects”, the importance of which made us start to work on the second part of the book.

We would like to thank all the professionals maintaining cooperation with us, because it is due to their efforts that our joint activity is enriched with new prospects and outlooks.

Starting with 2010, editorial house of STYLE Magazine and Union of Architects of Georgia, the national section of the International Union of Architects, have started cooperation, aiming at promotion of new developments and processes occurring in the spheres of architecture and construction.

Considering all of the above and acknowledging the importance of architectural education and practice for the future of our country we believe it is our primary goal to contribute to development of architecture in Georgia; namely:

- to support activity of architectural schools,
- to promote architects,
- to organize architectural competition of domestic and international level.

***David Abuladze***
***Chairman of the Union of Architects of Georgia***

***Nino Laghidze***
***Editor-in-chief of STYLE Magazine***


სარეკლამო კომპანია




გთავაზობთ:

- გარე რეკლამის დამზადება და განთავსება;
- ვიდეო რეკლამის დამზადება და განთავსება;
- პროექტირება, მშენებლობა, დიზაინი.





## წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები"- პრეზენტაცია

2009 წლის 25 დეკემბერს, 18:00, თბილისში. წიგნის მაღაზიაში "პარნასი" პუშკინის ქ. 10, გაიმართა წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" (ქართულ-ინგლისურ ენებზე) - პრეზენტაცია. ავტორი: ნინო ლაღიძე
პროექტის ორგანიზატორები: ჟურნალი "სტილი", "არქიტექტორთა კლუბი"
ნიშანდობლივია, ის, რომ, ამგვარი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა. გამოცემა გათვალისწინებულია, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

### გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

### 2010 წლის იანვრის თვიდან დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა.

დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან უკვე მზარდია.

პროექტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის გასაცნობად დაგვიკავშირდით მისამართზე:
პეკინის ქ. 33, ტელ./ფაქსი: +995 32 37 26 34.
მობ: +995 93 42 74 73
E-mail: nino@style-magazine.com.ge
www. style-magazine.com.ge



## "Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" - Book Presentation

On December 25 2009 Parnassus book shop located in 10 Pushkin Street hosted presentation of the book "Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects".
Author: Nino Laghidze
Project organizers: STYLE Magazine, Architects' Club
STYLE Magazine (architecture, interior, design) and Architect's Club presented their joint project – book titled "Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" (published in Georgian and English).
The project is the first of its kind implemented in Georgia. The publication is intended both for professionals and a wider range of public.
"Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects" is only the beginning of our project. In January 2010 we started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.
For detailed information about our project, please contact us at the following address:
33 Beijing Street, Tbilisi, Georgia;
Tel/fax: +99532-372624
Mobile: +99593-427473
E-mail: nino@style-magazine.com.ge
www.style-magazine.com.ge





ფოტოუზრუნველყოფა
Photolife Studio











MIZAR S.r.l.
Via Bosco,1
31050 Badoere di Morgano(TV)
Italy
Off.: +39 0422 83.94.42
Fax: +39 0422 83.94.32
Mob: +39 348 5904352
Mail: giargikhundaze@mizarlighting.com
www.mizarlighting.com
კონტაქტებისთვის თბილისში
მობ: +995 93 519 299


არქიტექტურული პრემია 2010
„არქიტექტურული პრემია 2010" მოსაპოვებლად
იწყება საკონკურსო მასალის მიღება
ტელ.: 37-26-34 მობ.: 893 42-74-73
www.archi-competition.com.ge


CAPAROL GROUP
არასოდეს ყოფილა ფერი
ასეთი ბუნებრივი
www.caparol.ge

www.style-magazine.com.ge

არქიტექტურული
კლუბი



Architectural
club

e-mail: nino@style-magazine.com.ge

Tel./Fax. +995 32 372 634
Mob. +995 93 427 473

სარეკლამო გვერდი


www.gessi.com
www.antoniolupi.it
www.antoniolupi.it
www.jacuzzi.eu
www.sicis.com
www.jacuzzi.eu
HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
www.devon-devon.com
www.antoniolupi.it
22 Metekhi str.
0103 Tbilisi Georgia
Tel.: +995 32 273300
Fax.: +995 32 747121
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge
www.devon-devon.com
www.gessi.com
www.jacuzzi.eu
www.sicis.com

ahrend
MILLIKEN



წარმომადგენლობა საქართველოში: ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 0186 თბილისი საქართველო
ტელ: +99532 207 400 ფაქსი: +99532 207 500 www.acrhtrade.ge info@archtrade.ge

reddot design award





ოფისის დაგეგმარება, დიზაინი და მოწყობა

Representative office in Caucasus: Vaja-Pshavela ave. 71, 0186 Tbilisi Georgia
Tel: +99532 207 400 Fax: +99532 207 500 www.acrhtrade.ge info@archtrade.ge

# სარჩევი
# Content


ახალი ამბები
NEWS



საცხოვრებელი სახლის პროექტები საჩუქრად მერიისგან
House Project Design Gifts from Tbilisi City Hall 16



საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონკურსი
Road Department Competition Announcement 20



სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გამარჯვება ფლორენციაში
Success of Georgian Art Students in Florence 24



SKIA-2010 26



ვორქშოპი იტალიაში
Workshop in Italy 30

სახლი
HOUSE



ქ. ბორჯომის №3 საჯარო სკოლა 720 მოსწავლეზე
Public School no.3, Borjomi 34









რაციონალურის და ესთეტიკურის იდენტურობა
Identity of the Rational and the Aesthetic 38

ინტერიერი
INTERIOR



იმიჯების მოდელირება
With impossibly thrilling images 40



Prive
La bibliotheque 46



საზოგადოებრივი ზონის მოცულობითი სტრუქტურა
Volumetric Structure of public zone 50



სითი კლუბი
City Club 54



ინტერიერის დიზაინერული ინტონაციები
Design Laflexions of Interior Spase 58



ახალი ჯაზ-კლუბი თბილისში
New Jazz club in Tbilisi 64



ელეგანტურობა დეკორში
Elegance in Decor 68



მითკაფე
Meat Cafe 72



კომფორტი ნიუანსებში
Comfort in Details 76



კომფორტი საცხოვრებელ სივრცეში
Comfort in Residential Interior 78



ინტერიერის თავისუფალი სტილი
Free Style of Interior Design 84







საცხოვრებელი გარემო
კონკრეტული ოჯახისათვის
Living Space for
a Particular Family 88



ელეგანტურობა ყოველ
ნიუანსში
Elegance in to
every detail 92



სივრცის ორიენტირი
Something stupid
about space 96



ლანდშაფტი
LANDSCAPE

სილამაზის ხედვა
To Value Beauty 100



კონკურსი
COMPETITION

MIZAR TI PREMIA! 102







უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE

ნომრის სტუმარი
Guest of Honor 106



FORMITALIA 110



ვერნისაჟი
VERNISAGE

გამოფენა
Exhibition 112



ნიკო კეკელიძე - 50
Niko Kekelidze - 50 116



ახალი გამოფენა
New Exhibition 118


www.style-magazine.com.ge
STYLE magazine
არქიტექტორთა კლუბი
www.style-magazine.com.ge
სარეკლამო გვერდი
893 427 473

# საცხოვრებელი სახლის პროექტები საჩუქრად მერიისგან







2009 წლის სექტემბრის თვეში ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადდა კონკურსი - "ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები მშენებლობის დაწყების მსურველთათვის".

კონკურსის მიზანი იყო მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება. კონკურსის ამოცანა კი მდგომარეობდა მასში, რომ გამოვლენილიყო საუკეთესო ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტები, შემდგომში დაინტერესებულ პირებზე უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით.

დაგვეთანხმებით, ყოველივე ეს, ხელს უწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, დედაქალაქის ერთიანი იერსახის ჩამოყალიბებას და მშენებლობის ნებართვის პროცედურის გამარტივებას.

კონკურსი დაფინანსდა კონკურსის მომწყობის (ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის) მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის არასაბიუჯეტო სახსრებიდან. იგი თბილისში ჩატარდა.

საკონკურსო პროექტი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ელექტრონული ვერსიით - სრული შემადგენლობით დაარქივებული ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით; გარდა ამისა, კონკურსანტებს უნდა წარმოედგინათ პროექტის მიხედვით მშენებლობის სავარაუდო ღირებულება და ხარჯთა-

მიშა ვალიაშვილი
MISHA VALIASHVILI



ღრიცხვა, ასევე, უფლება ჰქონდათ იმ თანხის ოდენობის მითითება, რომლის ფარგლებშიც შეასრულებდა პროექტის კონკრეტულ რელიეფზე მორგების საპროექტო დოკუმენტაციას, რაც სამსახურმა გამოაქვეყნა კიდეც ვებ.გვერდზე www.Tbilisi.gov.ge/architect. კონკურსში გამარჯვებული ვალდებული იყო კონკურსის მომწყობისთვის წარედგინა არქიტექტურული პროექტი კოლაჟის სახით, შესრულებული ერთ A2 ფორმატზე, დაბეჭდილი მაღალი ხარისხით, მაქსიმალურად ასახული ვიზუალური მასალით (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები, მცირე ტექსტური ნაწილი) გამოფენისთვის.



2009 წლის დეკემბრის თვეში, საუკეთესო პროექტები შეირჩა ,,კონკურსის -,,ქ. თბილისის საუკეთესო ინდივიდუალურიო საცხოვრებელი სახლის პროექტი"- ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 31 აგვისტოს №23.05.778 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის მიერ. როგორც ავღნიშნეთ, გამარჯვებული პროექტები არქიტექტურის სამსახურის ვებ.გვერდზეა განთავსებული და ყველა მსურველისთვის ხელმისაწვდომია.

კონკურსის გამარჯვებულებსა და კონკურსის მომწყობს შორის გაფორმდა გამარჯვებული ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულება.



არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ფასი შეადგენს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარს.

კონკურსში გამარჯვებული პროექტების გავრცელების და განხორციელების არეალია ქ. თბილისი, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონისა.

ამჯერად, ჟურნალი ,,სტილი" უფლებას იტოვებს წარმოგიდგინოთ, მისი შეხედულებისამებრ შერჩეული რამდენიმე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი.



სულხან სულხანიშვილი
SULKHAN SULKHANISHVILI

# House Project Design Gifts from Tbilisi City Hall



ნიკოლოზ მაისურაძე
NIKOLOZ MAISURADZE



თორნიკე დვალი
TORNIKE DVALI

In September 2009 Architectural Office of Tbilisi City Hall launched competition "Single-family House Project Designs for Those Wishing to Start Construction".

The competition aimed at identifying of the most efficient single-family house architectural projects, which would be made publicly available at no charge; the goal of this initiative was to improve the living conditions of the local population and stimulate the construction business.

Apart from the main goal, the competition will contribute to struggle against unemployment, refining of the architectural image of Tbilisi and simplification of procedures required for obtaining of construction permits.

The competition, organized in Tbilisi, was funded by the Architectural Office of Tbilisi City Hall from local self-government budget lines and its own non-budgetary resources.

The organizing committee requested that competition participants submit their entries in the form of archived ArchiCAD or AutoCAD files and additionally convert every worksheet into PDF format; architectural part of the project had to be complemented by estimated budgets and the cost of adapting the project to specific terrain (these requirements were posted at www.Tbilisi.gov.ge/architect). In addition, competition winners were obliged to provide the organizing committee with an A2 high-resolution collage reflecting the whole project (plans, sections, facades, renders, brief textual explanation) for exhibition purposes.

In December 2009 the best projects were identified by the panel of judges, appointed by Tbilisi City Hall decree no.23.05.778 of August 31 2009. All of these projects are publicly accessible at the website of the Architectural Office of Tbilisi City Hall.

Competition-winning projects were purchased from their authors by Architectural Office of Tbilisi City Hall and made publicly available for construction within Tbilisi area (except cultural heritage protection and special development regulation zones).

STYLE Magazine has the pleasure of presenting to you a choice of several single-family house project designs, which won the above competition.


PHOTOLIFE STUDIO
საგაზაფხულო ფასდაკლება
სარეკლამო გვერდი
ინტერიერ-ექსტერიერის
ფოტოგრაფირებაზე
20%
891 143185 photolife.ws@gmail.com www.photolife.ge

# საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონკურსი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თაოსნობით, გამოცხადდა კონკურსი.

კონკურსის მიზანი იყო ძირითადი სატრანზიტო ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (E-60) დასვენებისა და მომსახურების ობიექტების (გორის უღელტეხილის სიახლოვეს კმ85.0 – კმ92.0) შემუშავებული არქიტექტურული კონცეპტუალური მოდელისა და ტექნიკური პარამეტრების საფუძველზე, დამუშავებულიყო ობიექტების (სულ ორი ობიექტი, თითო მოძრაობის ცალკეული მიმართულებისათვის) განლაგებისა და ტერიტორიასთან მიბმის და თითოეული მათგანის სივრცითი ორგანიზაციის სქემები და კომპოზიციური გადაწყვეტა; კონკურსანტებს უნდა წარმოედგინათ შემუშავებული კონცეპტუალური მოდელის ობიექტების კონსტრუქციული გადაწყვეტისა და გამოყენებული სამშენებლო მასალების წინადადება; უზრუნველმყოფი ინფარსტრუქტურის ზღვრული სიმძლავრეთა მოთხოვნა; დასვენებისა და მომსახურების თითოეული ობიექტის შემადგენელი შენობა-ნაგებობების (თანახმად ტექნიკური პარამეტრებისა) ძირითადი შიდა და გარე ზომები, ავტოსადგომების და მთლიანად განაშენიანებული ტერიტორიის პარამეტრები;

ამ სახის გზისპირა დასვენების და მომსახურების ობიექტების მოწყობის და ფუნქციონირების დასავლური გამოცდილების (მათ შორის მოძრაობის უსაფრთხოების მოთხოვნათა) გამოყენების გარდა, შემუშავებული კონცეპტუალური მოდელის ფარგლებში, მისაღები ინოვაციური წინადადებები მადლიერებით იქნებოდა მიღებული.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს გადაეცად ძირითადი მაჩვენებლები და პარამეტრები - მსოფლიო ბანკის "აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის" კრედიტები (4248 GE, 7804 GE) კონსულტანტთა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მონაცემები.

საკონკურსო მასალების მიღების შემდეგ, კონკურსში მონაწილე პროექტები 2 კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული იყო საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ. გვერდზე. გამარჯვებული პროექტის საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ გამოვლენის შემდეგ, გამარჯვებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირსა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის შესყიდვაზე. პროექტის შესყიდვის ფასი განისაზღვრა 10 000 ლარით. პროექტების ავტორებს უნარჩუნდებათ საავტორო უფლებები და გამარჯვებული კონკურსანტი რეკომენდირებულია დასვენებისა და მომსახურების ამ ობიექტების დეტალური პროექტირებისთვის. საკონკურსო განაცხადებისა და საკონკურსო მასალების წარდგენა განხორციელდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ეხება E-60 ჩქაროსნული სატრანზიტო ავტომაგისტრალის გორის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე დასვენებისა და მომსახურეობის ობიექტების განლაგების, ტერიტორიასთან მიბმის სქემების და სივრცითი ორგანიზაციის გადაწყვეტას, წარმოდგენილი საკონკურსო მასალებიდან საუკეთესოდ იქნა მიჩნეული ორი ნამუშევარი: შ.პ.ს.„ალიონი-99"-ს და არქიტექტურული სტუდიის „ქობულიები და პარტნიორები" (ეს უკანასკნელი შესრულდა ს.ს. „ვისოლის" დაკვეთით).



ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲓᲕᲐᲚᲘ
TORNIKE DVALI



ᲜᲘᲙᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
NIKA MAISURADZE

Შ.Პ.Ს. „ᲐᲚᲘᲝᲜᲘ-99"
ALIONI-99 LTD










G
K
H
D
B
C
A
E

# Road Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia - Competition Announcement





ვასილ  ქობულია, გიორგი ქობულია, გივი ქობულია
VASIL  KOBULIA, GEORGE KOBULIA, GIVI KOBULIA

პროექტი შესრულდა ს.ს. „ვისოლის“ დაკვეთით
არქიტექტურული სტუდიის
„ქობულიები და პარტნიორები“ მიერ.
architectural studio "Kobulia and Partners"
(the latter was created on JSC "Wissol Georgia"s assignment)





Highway Traffic Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia announced a competition, aiming at positioning, adaptation and project development for two recreational/service hubs on the express road E-60, in the vicinity of Gori pass (85th-92nd kilometers) in accordance with preliminarily developed architectural concept and specific technical parameters. Competition participants had to submit their proposals on construction of the offered conceptual models, including information on the choice and cost of construction materials, key dimensions of the facilities and the whole site intended for development.

Apart from western European experience of arranging recreational/service hubs of such type (e.g. functionality and traffic security requirements), competition participants were welcome to offer innovative proposals.

In two weeks after submission deadline, competition entries were published at the Highway Traffic Department website. Competition winning projects, designed by "Alioni-99" Ltd. and architectural studio "Kobulia and Partners" (the latter was created on JSC "Wissol Georgia"'s assignment) were purchased by Highway Traffic Department, though the authors retained the copyright and received a prevalent right for creation of detailed architectural projects of the above recreational/service hubs.





# სამხატვრო აკადემიის სტუდენტების გამარჯვება ფლორენციაში



სოფო გოგოლაძე
SOFO GOGOLAZE



სოფო ანთიძე
SOFO ANTIZE

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია ყოველთვის გამოირჩეოდა საერთაშორისო კონტაქტებით, მათ შორის ერთ-ერთი ფლორენციაში დაარსებული „რომუალდო დელ ბიანკო"-ს ფონდია. ფონდის მიზანია საერთაშორისო ინტეგრაცია კულტურული იდენტურობისადმი პატივისცემის გამოხატვით. ფონდი მუდმივად აწყობს კონფერენციებს, ვორქშოფებს, კონკურსებს, სადაც დღემდე უკვე 46 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა; ყოველწლიურად 1000-მდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი სტუმრობს ფლორენციას, რათა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებში, გაეცნოს თანამედროვე ტექნოლოგიებს და გაუზიაროს ერთმანეთს გამოცდილება, კიდევ ერთხელ დაუმტკიცოცოს მსოფლიოს, რომ ხელოვნებას ყოველთვის შეეძლო და ახლაც შეუძლია იდგეს ყოველგვარი პოლიტიკური გადაწყვეტილების, კონფლიქტის და ძალადობის მაღლა და გააერთიანოს ის ადამიანები, რომლებსაც ძალიან უყვართ საკუთარი საქმე და მიისწრაფიან სიახლისა და წარმატებისაკენ.

ფონდის ფარგლებში ფუნქციონირებს ინტერნეტ პორტალი, რომელზეც მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელს შეუძლია საკუთარი ნამუშევრის ატვირთვა; პორტალის მომხმარებელი თავად ირჩევს სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს, საიტზე ხმის მიცემით. ქართველ სტუდენტებს შორის უკვე გვყავს ამ გზით ორი გამარჯვებული – შორენა ოთხოზორია, რომელმაც იტალიის პრეზიდენტის მედალი და ფულადი ჯილდო-2000 ევრო მიიღო და სოფო ჩხენკელი, რომელიც 500 ევროთი დაჯილდოვდა.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ „რომუალდო დელ ბიანკო"-ს ფონდთან თანამშრომლობა 2005 წელს დაიწყო. თბილისიდან ფონდის წარმომადგენლებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედია ხელოვნების ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და დეკანი პროფესორი ნანა იაშვილი დაუკავშირდა. ქ-ნი ნანა სრულადაა ჩართული ფონდის საქმიანობებში, არის გ. ბულაძესთან ერთად ფონდის ექსპერტი, რითაც ხელს უწყობს ქართველი სტუდენტების რეგულარულ მონაწილეობას ფონდის კონკურსებში და კონფერენციებში. ქართველი სტუდენტების წარმატება ფლორენციაში სიახლეს აღარ წარმოადგენს, ისინი ყოველთვის გამოირჩევიან დახვეწილი, საინტერესო და პროფესიულად მაღალ დონეზე შესრულებული სადიპლომო ნამუშევრებით. არც წლევანდელი ვიზიტი აღმოჩნდა ამ მხრივ გამონაკლისი - სტუდენტებმა საკუთარი სადიპლომო ნამუშევრები გამართულ ინგლისურ ენაზე, დიდ ეკრანზე წარმოადგინეს. ორმა ქართველმა გოგონამ უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა: სოფო გოგოლაძემ ნამუშევრისთვის „ბაღი ცაში" მიიღო გრან-პრი (ფულადი პრემია 4000 ევროს სახით); სოფო ანთიძემ ნამუშევრისთვის „წარმოსახვითი სამყარო" იტალიის პრეზიდენტის მედალი დაიმსახურა. ორივე პროექტი სამგანზომილებიან პროგრამაში იყო შესრულებული ქ-ნ ნ. იაშვილის ხელმძღვანელობით.



ფლორენციაში არაერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ განცდამ, რომელიც ჩვენი სტუდეტების დაჯილდოვებისას დამეუფლა, ჩემი ეს ვიზიტი სხვა დანარჩენებისგან სრულიად განსხვავებული გახადა. ახლაც ხშირად მახსენდება დაჯილდოვების ცერემონიალი, რომელსაც ლამაზ ჩანახატს ვამსგავსებ: სცენაზე ქ-ნი ნანა იაშვილი და სიგელებით დაჯილდოვებული ის სტუდენტები იდგნენ, რომელთა ხელმძღვანელებიც ჩვენ ვიყავით. ცერემონიალის ცენტრში გამარჯვებული სოფოები იყვნენ, დარბაზში კი თვალცრემლიანი პედაგოგები - მე, ქ-ნი მაია ქოიავა (ინგლისური ენა) და რუსუდან ერისთავი (კომპიუტერული გრაფიკა) ვიდექით; კარგად ვგრძნობდით იმ უხილავ ჯაჭვს, რომელიც სცენაზე მდგომ ბავშვებს, ჩვენ სამს და თბილისში მყოფ



პედაგოგებს აერთიანებდა; პედაგოგებს, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით სტუდენტების სწორად განვითარებაში, პროფესიულ აღზრდაში.

მონაწილე ქვეყნებს შორის იყვნენ: უკრაინა, რუსეთი, შვეიცარია, იაპონია და ა.შ. ყველა მონაწილეს ხელოვნებისადმი სიყვარული აერთიანებდა და ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა არსად იგრძნობოდა. თითოეული ქვეყნისადმი სოლიდარობის ნიშნად და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით მე რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელს საჩუქრად საკუთარი წიგნი „ ქართული ორნამენტი" გადავეცი.

ჩვენმა სტუდენტებმა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობა მიიღეს სამდღიან ვორქშოფში (გუშინ, დღეს, ხვალ), რომელიც ემსახურებოდა ახალი იდეების გენერირებას და გამოცდილების ურთიერთ გაცვლას.

ფონდის ერთ-ერთ ღონისძიებაზე, როდესაც ქ-ნ ნანა იაშვილი მედია ხელოვნების ფაკულტეტის მოღვაწეობაზე და სწავლების პროცესზე საუბრობდა და მაგისტრანტების დიპლომების ჩვენება ხდებოდა, ფაკულტეტის საქმიანობით დაინტერესდა მუზეუმ „უფიცი"-ს დირექტორის მოადგილე; მისი კითხვა შემდეგში მდგომარეობდა - „გვყავს თუ არა თბილისში უცხოელი სტუდენტები და ვასწავლით თუ არა მათ ჩვენი პროგრამებით და მზად თუ ვართ მივიღოთ ისინი?" ასეთი კითხვის დასმის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სწავლების სტანდარტებს და ჩვენს მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამები საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ მაღალი დონის პროფესიული ცოდნა და წარმატებით იმუშაონ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ფაკულტეტის კურსდამთავრებულების აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია და მუშაობს პრესტიჟულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო თუ არსამთავრობო სექტორში.

„რომუალდო დელ ბიანკო"-ს ფონდი ერთჯერადი ღონისძიებებით არ შემოიფარგლება. ამჟამად ფლორენციაში მოღვაწეობენ ნინო ბულაძე და ნათია ებრალიძე, რომლებიც ჩართულები არიან ფონდის საქმიანობაში - სხვადასხვა ტიპის გამოფენების და ღონისძიებების ორგანიზებაში. ფონდის დირექტორმა, პაოლო დელ ბიანკომ საკუთარ გამოსვლაში მათ „ელჩები" უწოდა, რომლებიც იტალიაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას საქართველოში ჩამოიტანენ. ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ ფონდი სერიოზულადა არის დაინტერესებული ქართველი სტუდენტებით და ხელოვნების სფეროს სხვა წარმომადგენლებით. სასიხარულოა, რომ 2010 წლის 20-23 აპრილს სწორედ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია უმასპინძლებს „რომუალდო დელ ბიანკო"-ს ფონდის საერთაშიროსო ფესტივალს „ხარისხი და პროფესია" და კონფერენციას „ცხოვრება ტურიზმის გზით".

შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის და „რომუალდო დელ ბიანკო"-ს ფონდის თანამშრომლობამ უკვე დიდი შედეგი გამოიღო და წინ კიდევ მრავალი საინტერესო შეხვედრა, კონფერენცია და ერთობლივი მუშაობის გეგმებია. სასიხარულოა, როდესაც საქართველოს სახელი საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებს და ქართველი სტუდენტების მომზადების მაღალი დონე მათ დიდ წარმატებას უზრუნველყოფს.

ფლორენციის კვირეულმა დამარწმუნა, რომ ჩვენ ფაკულტეტზე ვზრდით ღირსეულ სტუდენტებს და თამამად გადავცემთ მათ იმ დიდ ესტაფეტას, რომელიც ჩვენი პედაგოგებისგან მივიღეთ და ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია საქართველოში კულტურის სფეროს ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ვიმედოვნებ, რომ ამ წერილით მოვახერხე მოკლედ მომეთხრო მკითხველისთვის კიდევ ერთი საინტერესო საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, რომლის შედეგადაც ქართველმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ მათი შესაძლებლობები ამოუწურავია, ხოლო მათი ნამუშევრები მხოლოდ უმაღლეს ჯილდოს იმსახურებს.

ციფრული მულტიმედიის მიმართულების
წამყვანი ასოცირებული პროფესორი
მარინა თევზაია



# Success of Georgian Art Students in Florence

Tbilisi State Academy of Arts always retained links with different international bodies, including Romualdo Del Bianco Foundation. The Foundation aims at cultural integration, but maintains a markedly respectful approach toward cultural identity. Romualdo Del Bianco Foundation regularly arranges conferences, workshops and competitions, which up to now have been attended by representatives of 46 countries; Florence is annually visited by over 1000 students and teachers wishing to get involved in meetings of different kinds, study advanced technologies, share experience and once more prove to the whole world that the art stands above political confrontation and unites the people who are really fond of their work and strive toward novelty and success.

The Foundation runs an internet portal, where artists from all over the world can upload their works; portal users themselves identify the best works of art in this or that category by voting online. Two Georgian students were awarded victory in this online competition – Shorena Otkhozoria, who was awarded Italian presidential medal and a monetary prize of 2000 Euros, and Sopho Chkhenkeli, whose prize was 500 Euros.

Tbilisi State Academy of Arts established cooperation with Romualdo Del Bianco Foundation in 2005. Foundation representatives were contacted by professor Nana Iashvili, one of the founders and acting dean of Media Arts Faculty. Ms. Iashvili is fully involved in the activities of the Foundation; together with G. Bughadze, she acts as Foundation expert, thus contributing to regular participation of Georgian students in competitions and conferences, organized by Romualdo Del Bianco Foundation. Success of Georgian students in Florence is neither novelty nor a surprise any longer; they always come up with refined, original and professionally implemented works. The same can be said about this year's visit – our students publicly presented their graduation works in good English and two girls won the best awards: Sopho Gogoladze was awarded the grand-prix (4000 Euros) for her "Garden in the Sky", and Sopho Antidze received Italian presidential medal for the work "Imaginary World". Both projects were developed in 3D format under supervision of Ms. N. Iashvili.

I have been to Florence on numerous occasions, but the emotion which swept over me when our students were awarded, made me set this particular visit all aside from my other trips to this city. The award ceremony still keeps popping up before my eyes as an elaborate sketch: Nana Iashvili standing on the stage, surrounded by our students, each holding an award certificate. We, their teachers – myself, Maia Koiava (English) and Rusudan Eristavi (computer graphics) – watched them from auditorium and our eyes were filled with tears; all of us had a strong feeling of an invisible chain linking together the youngsters on the stage, ourselves and other teachers, whom we had left behind in Tbilisi and who had made an immense contribution to training and professional education of these students.



This year's competition involved countries like Ukraine, Russia, Switzerland, Japan, etc. All participants were united by their devotion toward art and no one remembered political tension existing between some of the represented countries. To express my unity with foreign colleagues and enable them to get acquainted with our rich cultural heritage I distributed several copies of my book "Georgian Ornament" as gifts.

Our students, together with other participants of the competition, took active part in 3-day workshop "Yesterday, Today, Tomorrow", dedicated to idea generation and experience sharing.

During one of the meetings organized by the Foundation, when Nana Iashvili spoke about Media Arts Faculty of Tbilisi State Academy of Arts and demonstrated master degree graduation papers, activities of the Faculty caused interest of deputy director of Uffizi Gallery; he wondered whether we had foreign art students in Tbilisi, studying by our programmes and if the Academy of Arts is ready to take in any more foreigners. This question assured me once again that Tbilisi State Academy of Arts fully satisfies international education standards and our education programs enable students to receive quality training and achieve professional success both in Georgia and abroad.



Romualdo Del Bianco Foundation does not limit itself to one-off events. At the time being, two Georgians – Nino Bughadze and Natia Ebralidze – work in Florence, organizing various exhibitions and events on behalf of the Foundation activities. During one of his speeches, Foundation Director Paolo Del Bianco mentioned them as "ambassadors", who will spread the knowledge and experience acquired in Italy within Georgia. This fact indicates that the Foundation is strongly interested in cooperation with Georgian students and artists. It is an honor that on April 20-23 Tbilisi State Academy of Arts will host international festival "Quality and Profession" and conference "Life Beyond Tourism", organized by Romualdo Del Bianco Foundation.

I can say that cooperation between Tbilisi State Academy of Arts and Romualdo Del Bianco Foundation has already brought significant results and there are a lot more interesting meetings, conferences and joint activities ahead. It is pleasing to see Georgia so active on international stage and Georgian students achieving success due to the high level of their professional education.

I do hope that my correspondence was useful in informing the readers about the interesting instance of international cooperation, which enabled Georgian students and teachers to prove once again that their abilities are unlimited and their works are worthy of highest award.

MARINA TEVZAIA
ASSOCIATED PROFESSOR IN CHARGE OF DIGITAL MULTIMEDIA DEPARTMENT





# SKIA-2010

2010 წლის 22-დან 28 თებერვლამდე ბაკურიანმა არქიტექტორ მოთხილამურეთა 33-ე შეხვედრა – სემინარს უმასპინძლა. შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი – "სკია" და ჟურნალი "სტილი".

ეს შეხვედრა მიზნად ისახავდა ქართველი არქიტექტორების მიერ დამუშავებული სამთო - საკურორტო ზონების (გუდაური, ბაკურიანი, ბახმარო) განვითარების თვალსაზრისით შექმნილი ქალაქმშენებლობითი პროექტების საზოგადოების ფართო ფენებისათვის წარდგენას და იქ არსებული პრობლემების აღმოფხვრისადმი მიძღვნილ დისკუსიებში უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურების და ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩართვას.

არქიტექტორთა წლევანდელ შეხვედრას უაღრესად თბილი მასპინძლობა გაუწიეს ბაკურიანის სასტუმრო “აპოლონის” მესვეურებმა ცნობილმა ვეტერანმა მოთხილამურემ ოთარ გოცირიძემ და მისმა ქალიშვილმა ინგამ, რომლებმაც მართლაც რომ ოჯახური გარემო შეუქმნეს სემინარის მონაწილეებს.

შეხვედრა – სემინარის ფარგლებში ჩატარდა სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი, რომლის ორგანიზატორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირთან ერთად, გახლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

კონკურსი მიზნად ისახავდა ბაკურიანში, დიდველის სათხილამურო ტრასის წვერში მდებარე პლატოზე მცირე ზომის პანორამული კაფეს ესკიზური პროექტის შექმნას. კონკურსის თემამ სტუდენტებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, რისი დასტურიც გახლდათ სატუმრო “აპოლონ”-ის საგამოფენო დარბაზის პროექტებით გადაჭედილი კედლები და მათ სანახავად მოსული მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი.

კონკურსის პირობის თანახმად კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა 3 საუკეთესო პროექტი, რომლის ავტორები დაჯილდოვდნენ არქიტექტორთა კავშირის მიერ გამოყოფილი ფულადი ჯილდოებით, აგრეთვე ჟურნალ "სტილის" მიერ გამოცემული ფუნდამენტური ნაშრომით თანამედროვე ქართველი არქიტექტორების შესახებ. **გაიმარჯვეს ვახტანგ ტაბატაძის და თამარ ალხაზაშვილის, აგრეთვე რობი გეთიაშვილის და ნიკა მაისურაძის ესკიზურმა პროექტებმა,** რომლებშიც, ჟიურის აზრით, საუკეთესოდ იყო გათვალისწინებული საპროექტო ადგილის ბუნებრივ-კლიმატური პირობები და რომლებიც გამოირჩეოდნენ ფუნქციურ-ტექნოლოგიური გამართულობით და მხატვრულ-ესთეტიური გადაწყვეტის თვითმყოფადობით.

მოთხილამურე არქიტექტორთა შეკრებაზე, როგორც ყოველთვის, ერთმანეთს ორგანულად ერწყმოდა არქიტექტორთა შემოქმედებითი სული და სპორტული აზარტი.

არქიტექტორთა ტრადიციული შეკრების თანმდევი იყო სამთომოთხილამრეთა შეჯიბრი გიგანტურ სლალომში, რომელიც სხვადასხვა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფებში გაიმართა. სულ შეჯიბრში 43 მონაწილე გამოვიდა.

**სტუდენტ მოთხილამურე ვაჟებს შორის გამარჯვა მიშო შამათავამ, რომელმაც მაყურებლები გააოცა გამარჯვებისაკენ ლტოლვის დაუოკებელი ჟინით და სპორტული აზარტით. მომდევნო ადგილები დაიკავეს 2. მურმან იაშვილმა და 3. ბექა დვალმა.**

**სტუდენტ მოთხილამურე გოგონებს შორის გაიმარჯვეს 1. ანა კარტოზიამ, 2. ნანა ლეკვეიშვილმა და 3. ნონო კვიწინაშვილმა.** უნდა აღინიშნოს, რომ სამივე მათგანის მშობლები ცნობილი ქართველი არქიტექტორები გახლავან.

**ქალთა შორის მორიგი გამარჯვება იზეიმა არქიტექტორმა ნატაშა ქვარცხავამ.** მას გადაეცა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ დაწესებული ალიკა ჯაფარიძის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც ცნობილმა ქართველმა მოქანდაკემ **გიორგი შხვაცაბაიამ** შექმნა. მეორე მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს **მაია მირზიაშვილმა და მაკა ძიძიგურმა,** რომლებიც წამის სულ რაღაც მეასედებით ჩამორჩნენ გამარჯვებულს.

ორმოც წლამდე არქიტექტორებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **1. ზუკა ჩოჩია, 2. სანდრო იაშვილი და 3. ლუკა ჩხაიძე.** სამივე მათგანმა სპორტული შემართების ჭეშმარიტი ნიმუშები გვიჩვენა და მათი ვაჟკაცური შერკინება, მოლოდინისამებრ, უფრო გამოცდილი და მრავალნაცადი სპორტსმენის გამარჯვებით დასრულდა

ორმოციდან ორმოცდაათ წლამდე ასაკში გაიმარჯვა **გიორგი კარტოზიამ (კესკესამ),** რომელმაც ზედიზედ უკვე მერამდენედ დაიმსახურა ალიკა ჯაფარიძის სახელობის გარდამავალი პრიზი, რომელიც მოქანდაკე გია ჯაფარიძის მიერ შესრულებულ აშოტ კურაპალატის თხილამურებზე შემდგარ ბრინჯაოს ფიგურას წარმოადგენს. მეორე - მესამე ადგილები შესაბამისად **კოტე იაშვილმა და ირაკლი მასხულიამ** დაიკავეს.

ტრადიციულად ძალზე დიდი კონკურენცია გაიმართა 50 წლის ზევით ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მრავალრიცხოვნებით. აქ იმარჯვა **გია ბახსოლიანმა,** რომელიც ამავე დროს ჩემპიონატის გენერალური სპონსორი გახლდათ, როგორც ელექტრო-სამონტაჟო კომპანია “ინსტა”-ს ხელმძღვანელი. მას კვალად მიჰყვნენ სამთო მოთხილამურეთა ოჯახის წარმომადგენელი და მეთაური **კახა ჩოჩია და ირაკლი გამყრელიძე (გერკო).**

სპორტული მიღწევების გარდა ორგანიზატორებმა შეხვედრა-სემინარის მონაწილეები მრავალი სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს. მათ შორის აღსანიშნავია მრავალი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულის, არქიტექტორ **დავით ჩხეიძის (ჩხირას)** მიერ შესრულებული ტიხრული მინანქრის მედალიონი, რომელიც გოეთეს ინსტიტუტეს არქიტექტურულ- ქალაქთგეგმარებითი პროგრამის ხელმძღვანელს ნათია მიქელაძეს გადაეცა.

სამახსოვრო პრიზები გადაეცათ არქიტექტორ გოგი ჟღენტს, რომელიც "სკია"-ს წლევანდელი პლაკატის შემოქმედი გახლდათ; კინორეჟისორ ნიკუშა ახვლედიანს, რომელიც მორიგ ფილმს ქმნის მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბის შესახებ; სპორტული შეჯიბრის უხუცეს მონაწილეს – **პავლე ძინძიბაძეს** და მრავალ სხვას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჟურნალ “სტილის” მიერ დაწესებული მშვენიერი პრიზები - ფუნდამენტური გამოცემა-წიგნი თანამედროვე ქართველი არქიტექტორების შესახებ, რომელიც ყველა კატეგორიებში გამარჯვებულ მოთხილამურეებს, აგრეთვე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუდენტურ არქიტექტურულ კონკურსში განმარჯვებულებს გადაეცათ.

***საქართველოს მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბის პრეზიდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გოჩა მიქიაშვილი***





On February 22-28 2010 Bakuriani ski resort hosted the 33rd seminar of architect skiers. The event was organized by the Union of Architects of Georgia, SKIA – Georgian Club of Architect Skiers, and STYLE Magazine.

This year's meeting aimed at public presentation of urban development projects, created by Georgian architects for ski resort areas (Gudauri, Bakuriani and Bakhmaro) and involvement of governmental officials and intelligentsia representatives into discussion of issues connected with Georgian ski resort areas and their development.

SKIA meeting was hosted by Apollon Hotel, managed by veteran skier Otar Gotsiridze and his daughter Inga, who surrounded SKIA participants with genuine family atmosphere.

The event incorporated a student competition, organized by the Union of Architects of Georgia and the Architecture, Urbanistics and Design Faculty of the Georgian Technical University.

The goal of the competition was to create a sketch project of a small panorama cafe on top of Didveli skiing track in Bakuriani. Competition theme caused considerable interest on the part of the students – exhibition hall of Apollon Hotel was crammed with projects and visitors wishing to take a look at them.

Panel of judges identified three competition winning projects, whose authors received monetary prizes established by the Union of Architects of Georgia and copies of fundamental publication on contemporary Georgian architecture, issued by STYLE Magazine. Competition winners were Vakhtang Tabatadze and Tamar Alkhazashvili, Robbie Getiashvili and Nika Maisuradze sketch projects – according to the jury, their projects were most efficient in terms of considering climatic and natural conditions of the project site, technical and functional relevance and creative approach.

As usual, SKIA enabled architects to find application both for creative thinking and sports activity – the program of Bakuriani meeting incorporated a competition in giant slalom skiing, organized for 43 participants in several age and sex categories.

The winner among male student skiers was Misho Shamatava, who surprised everyone with his passionate desire to win; runners-up were Murman Iashvili and Beka Dvali.

Female student skiers' competition was won by 1. Anna Kartozia, 2. Nana Lekveishvili and 3. Nono Kvitsinashvili (all three – daughters of well-known Georgian architects).

Still another victory among women skiers was achieved by architect Natasha Kvartskhava, who was awarded a tourist trophy, established by the Union of Architects of Georgia in memory of Alik Japaridze – miniature sculpture by Giorgi Kvatsabaia. Second and third places were won by Maia Mirziashvili and Maka Dzidziguri, whose results were just tenths of seconds worse than those of the first prize winner.

Prizes in the competition for male skier architects under 40 got distributed as follows: 1. Zura Chochia, 2. Sandro Iashvili and 3. Luka Chkhaidze. All three showed surprising valor; as expected, the more experienced sportsman took the upper hand in their struggle.

Competition for male skier architects aged 40 to 50 was won by Giorgi Kartozia (a.k.a. "Qu'est-ce que c'est"), who will keep for still another year Alik Kartozia tourist trophy – figure of Ashot Kuropalates standing on the skis, sculpted by Gia Japaridze. The second and third places were claimed by Kote Iashvili and Irakli Maskhulia.

Traditionally, the largest tension was noticeable among male skier architects over 50. This competition was won by Gia Bakhsoliani, director of electric installation company "Insta", who at the same time was the general sponsor of the tournament. He was followed by hereditary skier Kakha Chochia and Irakli Gamkrelidze (Gerko).

Apart from trophies intended for sports competition winners, organizers had set aside a number of prizes for other participants of SKIA meeting-seminar. One of such prizes was a cloisonne enamel medallion by architect David Chkheidze (Chkhira), which was passed to Natia Mikeladze, manager of architectural-urban planning programme operated by Goethe Institut.

Memorable prizes were awarded to architect Gogi Jgenti, author of SKIA 2010 poster; to film director Nikusha Akhvlediani, who is creating a new movie about SKIA; to Pavle Dzindzibadze, the oldest participant of SKIA skiing tournament, and many others.

We would like to specially mention the prize established by STYLE Magazine – fundamental publication on contemporary Georgian architecture – which was awarded to winners of skiing tournament in all categories and to authors of the best student sketch projects.

***Gocha Mikiashvili***
***President of SKIA – Georgian Club of Architect Skiers***
***Dean of the Architecture, Urbanistics and Design Faculty of the Georgian Technical University***

# კონკურსის გამარჯვებულები
# Competition winners



თამარ ალხაზაშვილი,
ვახტანგ ტაბატაძე
TAMAR ALXAZASHVILI,
VAXTANG TABATADZE





ნიკა მაისურაძე
NIKA MAISURADZE





რობი გეთიაშვილი
ROBI GETIASHVILI



# კონკურსის მონაწილენი

# Competition participants



ნანუკა ზაალიშვილი
NANUKA ZAALISHVILI





გიორგი გიორგაძე
GEORGE GIORGADZE





ნინო კვიცინაშვილი
NINO KVITSINASHVILI



HERBOVITAL 2

# ვორკშოპი იტალიაში



2009 წელს საერთაშორისო კონკურსის "არქიტექტურული პრემია 2009" ლაურეატები და საუკეთესო ნომინანტები, წინა წლებში ჩატარებულ კონკურსების გამარჯვებულებისგან განსხვავებით, კონკურსის სპონსორების, მხარდამჭერების და "არქიტექტორთა კლუბის" პარტნიორი კომპანიების მხრიდან განსაკუთრებული და არაორდინალური საჩუქრებით თუ პრიზებით დაჯილდოვდნენ. მათ შორის თავისი დატვირთვით და პრეზენტაბელურობით გამოირჩეოდა იტალიური კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ს წარმომადგენლობა თბილისში" პრიზი - მიწვევა იტალიაში სპეციალურ ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად.

ვორკშოპი იტალიაში 7 დეკემბრიდან 14 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" მიერ წელს პირველად შედგა მთლიანად ქართველი პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის ჩასმა სპეციალურ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" ეგიდით გაერთიანებული საქვეყნოდ ცნობილი, იტალიური ბრენდების მრავალფეროვანი პროდუქციის გაცნობას, შესწავლას და მის პრაქტიკაში გამოყენ ებას.

12 ქართველი არქიტექტორით დაკომპლექტებული ჯგუფი, პრაღის გავლით (რომლის დათვალიერებაც მოვასწარით), ავღმოჩნდით ვენეციაში, სადაც დაგვხვდნენ კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" წარმომადგენლები, ორი მიკროავტობუსით და აქედან დაიწყო უზომოდ საინტერესო, ყოველმხრივ სასიამოვნოდ დატვირთული, დაუვიწყარი ვოიაჟი იტალიში. მოვინახულეთ და საფუძვლიანად შევისწავლეთ იტალიური კომპანიების "ჯაკუზი"-ს, "ანტონიო ლუპი"-ს, "ჯესის" ულ-



























ამაზესი ქარხნები (საშუალება მოგვეცა სრულად გვენახა ამ ფირმების პროდუქციის დამზადება-სრულყოფის პროცესები) და შოურუმები (სადაც გამოფენილია უზადო, უნატიფესი დიზაინით შესრულებული ნაკეთობები და აქსესუარები) გვქონდა შეხვედრები და პროფესიული საუბრები მათ იტალიურ წარმომადგენლობებთან. პარალელურად, მასპინძლების ინიციატივით მოვინახულეთ ვენეცია, ფლორენცია, მილანი, ლაგო მაჯორე (მაჯორეს ტბა), ლაგო დი ორტა (ორტას ტბა) და უამრავი პატარა იტალიური ქალაქები თუ სოფლები.

ალსანიშნავია ის, რომ მილანში საშუალება მოგვეცა გვენახა, კომპანია "სიჩისის" განახლებული ფეშენ შოურუმი.

დიდ მადლობას ვუხდით კომპანიას "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" ამ არაჩვეულებრივი სანახაობრივ-ინფორმაციულ-შემეცნებით-კულინარული ვოიაჟისთვის, ჩვენს უშუალო მასპინძლებს და "გზამკვლევებს", კომპანია "ჰერბოვიტალ 2"-ის წარმომადგენლებს - ბატონ ოლეგ ფიოდოროვს, ბატონ ვალერი მარკოვსკის, კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" მენეჯერს საქართველოში და ჩვენს თარჯიმანს იტალიაში ქეთი დიანოსაშვილს.

განსაკუთრებული მადლობა კი - კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" მთავარ მენეჯერს საქართველოში, ქალბატონ ელენე ბურდულაძეს, რადგან მხოლოდ, მისი მონდომებით და ძალისხმევით შედგა ჩვენი - ქართული და იტალიური კომპანიების ალიანსი და ეს დაუვიწყარი ვორკშოპი ულამაზეს იტალიაში.

ნინო ლალიძე

ფოტო: ვალერი მარკოვსკი











# Workshop in Italy





Prizes and presents passed to laureates and best nominees of Architectural Award 2009 greatly differed from the awards, distributed to competition winners in the previous years by competition sponsors, supporters and partner companies of the Architects' Club. One of the most important and impressive awards was established by Italian Company "Representative of Herbovital 2 in Tbilisi ", which took Architectural Award 2009 winners to a specially organized workshop in Italy.

The workshop lasted from December 7 to December 14. It is pleasing that for the first time in 2009 "Representative of Herbovital 2 in Tbilisi" involved a wholly Georgian group of professionals into the special program, aiming at introduction, review and practical application of products, manufactured by the best Italian brands, united by "Representative of Herbovital 2 in Tbilisi".

# HERBOVITAL 2



More information on this tour will be published in the next edition of STYLE Magazine. We would like to thank “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” for this wonderful sightseeing-informative-educative-culinary voyage, pass our kind regards to our immediate hosts and tour-guides – representatives of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” Oleg Fedorov, Valeriy Markovski and manager of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” in Georgia and our interpreter Mr. Keti Dianosashvili and pay special gratitude to chief manager of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” representation in our country Ms. Elene Burduladze, because it is largely due to her personal efforts that Georgian architects had an opportunity to enjoy this unforgettable workshop in Italy and establish business links with Italian companies.

We would like to thank “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” for this wonderful sightseeing-informative-educative-culinary voyage, pass our kind regards to our immediate hosts and tour-guides – representatives of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” Oleg Fedorov, Valeriy Markovski and manager of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” in Georgia and our interpreter Mr. Keti Dianosashvili and pay special gratitude to chief manager of “Representative of Herbovital 2 in Tbilisi” representation in our country Ms. Elene Burduladze, because it is largely due to her personal efforts that Georgian architects had an opportunity to enjoy this unforgettable workshop in Italy and establish business links with Italian companies.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: VALERIY MARKOVSKI





















თენგიზ მახარაშვილი
TENGIZ MAKHARASHVILI



გიორგი მახარაშვილი
GEORGE MAKHARASHVILI

# ქ. ბორჯომის №3 საჯარო სკოლა 720 მოსწავლეზე

**ავტორები: თენგიზ მახარაშვილი, გიორგი მახარაშვილი**





ა.წ. 2 თებერვალს ქ. ბორჯომის ცენტრში გაიხსნა ევროპული სტანდარტებით დაპროექტებული საჯარო სკოლა 720 მოსწავლეზე. სკოლა გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ განათლების და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მისი მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები. პრეზიდენტმა თავისი გამოსვლისას მაღალი შეფასება მისცა ახლად აშენებული სკოლის, როგორც გეგმარებით, ასევე მხატვრულ გადაწყვეტას.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... 2007 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, ი. გოგებაშვილის პროგრამის ფარგლებში, ჩაატარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ასაშენებელი 11 სკოლის პროექტირებაზე არქიტექტურული კონკურსი. დიდი ინტერესის მაჩვენებელია, ის, რომ საკონკურსოდ შესრულებული იყო 160-ზე მეტი პროექტი. კონკურსში გამარჯვებულთა შორის იყვნენ თენგიზ და გიორგი მახარაშვილები, რომლებმაც ორი პირველი და ერთი სპეციალური პრემია დაიმსახურეს. შედეგად მათ უფლება მიეცად ქ. ბორჯომში და სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში განეხორციელებიათ თავიანთი პროექტები.

გავიდა ორი წელი და ბორჯომის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე დამთავრდა საჯარო სკოლის მშენებლობა, ხოლო სოფელ ჯუგაანში სკოლის მშენებლობა ერთ თვეში დასრულდება.





საპროექტო ტერიტორიის ფართის სიმცირის გამო, შენობის პროექტირება, მისი გეგმარებითი არქიტექტურულ-სივრცითი გადაწყვეტა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ მოხერხდა ოპტიმალური გადაწყვეტის მიღება.

სკოლის შენობის მოცულობით-სივრცობრივი გადაწყვეტის ძირითადი ნაწილებია: ნახევრადწრიული და სწორკუთხა ბლოკები, რომლებიც მინის ვიტრაჟებიანი, კლასების ფანჯრების რიტმით, ქანობიანი სახურავით, ჟალუზებითა და კარნიზით და სხვა მოცულობითი ელემენტებით ქმნიან ერთიან არქიტექტურულ გადაწყვეტას.

სკოლა დაპროექტდა და აშენდა მსოფლიო ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. საპროექტო დავალებით უნდა დაკმაყოფილებულიყო დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ძირითადი სტანდარტები - ასაკობრივი ჯგუფების და რეკრეაციების დიფერენციაცია, ახალი ტიპის საკლასო ოპთახები და ლაბორატორიები, თანამედროვე სააქტო და სპორტული დარბაზები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ პირველად ამ სკოლაში განხორციელდა უნარშეზღუდული ბავშვებისთვის სპეციალური პანდუსები და დამონტაჟდა ორი ლიფტი.

შენობა სამსართულიანია, რომლის პირველ სართულზე განლაგებულია მთავარი ვესტიბიული, სკოლის ადმინისტრაციული სათავსოები, კლასები დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის, ავტონომიური შესასვლელით. აქვე ცალკე ბლოკად აშენდა სპორტული დარბაზი და კვების ბლოკი. ვესტიბიული და რეკრეაციული სივრცეები უშუალოდ უკავშირდება ნახევარწრიული ფორმის ღია, კეთილმოწყობილ; შიდა ეზოს (ღია რეკრეაცია).

სკოლის მეორე სართულზე ძირითადად განლაგებულია საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და კლასები დამოუკიდებელი მუშაობისთვის. შენობის მესამე სართულზე, გარდა საკლასო ოთახებისა განთავსდა სააქტო დარბაზი და ბიბლიოთეკა.

მოხდა სკოლის მისასვლელი ზონის და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და განათება.

ავტორების, მშენებლების, მუნიციპალური განვითარების ფონდის და განათლების სამინისტროს თამშრომლობის შედეგად მიღწეული იქნა მშენებლობის მაღალი ხარისხი.

მთლიანობაში, განხორციელებული სკოლის შენობა, გეგმარებითი, სივრცითი, მხატვრული გადაწყვეტით და მასშტაბით, კარგად ჩაეწერა არსებულ განაშენიანებაში. ფასადების პლასტიკა, გამოყენებული მასალების ფერი და ფაქტურა უზრუნველყოფს საინტერესო გადაწყვეტას.

თენგიზ მახარაშვილი
არქიტექტორი





სახლი
HOUSE

# Public School no.3, Borjomi

## (capacity – 720 pupils)

**Authors: Tengiz Makharashvili, Giorgi Makharashvili**

On February 2 2010 a new public school was launched in the center of Borjomi by President of Georgia Mikheil Saakashvili. Presentation ceremony was attended by the Dimitri Shashkin, Minister of Education and Science of Georgia and other officials. During his speech, President of Georgia gave a high evaluation to architectural values of the new school.

This story actually began in 2007, when the Ministry of Education and Science of Georgia announced architectural competition on creation of 11 school project designs to be built in different regions of the country under I. Gogebashvili Program. The number of entries submitted to the organizing committee reached 160, which speaks about considerable professional interest. Among other winners of the competition, Tengiz and Giorgi Makharashvili were awarded two first prizes and one special prize. As a result, they were given a right to realize their projects in Borjomi and Jugaani Village of Signagi District.

Two years later, public school construction was finalized in Rustaveli Street, Borjomi, and Jugaani Village school will be finished in about a month.

Considering the small size of available plot, designing of the school for Borjomi was connected with certain difficulties. However, the architects succeeded in finding an efficient solution.

Main architectural components of the resulting construction – semicircular and rectangular blocks combined and rhythmically interrupted with tilted roofs, wide window openings, sun blinds, eaves and other construction elements form an integral architectural body.

Project design and construction of the school was funded by World Bank and the Government of Georgia. Project assignment obliged the architects to develop their project incorporating major European standards, implying differentiation of age groups and recreational zones, setting up of innovative classrooms and laboratories, modern auditoria and gymnasia, etc. It is important that this school – for the first time in Georgia – was equipped with special ramps and two elevators, intended for disabled children.

The building is three-level; its ground floor contains a large entrance hall, offices and classrooms for junior grade pupils with autonomous access. A separate ground floor construction contains gymnasium and canteen. The entrance hall and recreation areas are immediately connected with a semicircular open inner courtyard, enabling outdoor recreation. First floor of the school building mostly consists of classrooms, laboratories and rooms for independent studies. Second floor, apart from classrooms, also houses auditorium and library.

The territory around the school was landscaped and provided with artificial lighting.

High quality of the construction is the result of efficient cooperation between the authors, contractors, Municipal Development Foundation and the Ministry of Education and Science.

On the whole, the realized school building with its planning, spatial and architectural solution seamlessly merged into the surrounding landscape. Flexible design of facades, carefully matched textures and colors of the construction materials further increased the efficiency of this architectural project.

TENGIZ MAKHARASHVILI
ARCHITECT















# რაციონალურის და ესთეტიკურის იდენტურობა



არქიტექტორების მანანა ხვედელიანის, ნუგზარ ხვედელიანის და დავით სულხანიშვილის მიერ შექმნილი საცხოვრებელი სახლის მოცულობა თავშეკავებული, დახვეწილი მანერითაა შესრულებული. მის არქიტექტონიკას, ეპატაჟს მოკლებული აქტუალურობა ახასიათებს. სახლის გამომხატველობა, არა ექსპრესიის, არამედ ოსტატთა მიერ შექმნილი მაღალი ხარისხის ფონზეა მიღწეული. ძირითად პრინციპს, რომელიც ავტორებმა საცხოვრებლის შექმნისას გაატარეს (რა თქმა უნდა სახლის მფლობელის მოთხოვნების და გემოვნების გათვალისწინებით), შეიძლება რაციონალურისა და ესთეტიკურის წონასწორობა დაერქვას. აქ, ყოველივე სივრცითი ექსპერიმენტების და სპეცეფექტებისა გარეშე იქნა მიღწეული. საცხოვრებელი მოცულობა, რომელიც კონკრეტული ოჯახისათვის, მისი ცხოვრების წესის შესაბამისად „იწყობა“, მშვიდი, არაორდინალური, კომფორტული საცხოვრებელია და არა შოუ-რუმი თუ თანამედროვე „მუზეუმი“. საცხოვრებლისთვის დამახასიათებელი მთლიანობა და ჰარმონია მისი გეგმარებითი გადაწყვეტის იდენტურია. დახურული სივრცეების საერთო სტილის წარმომქმნელი თემები, მათ ერთ მთიანობაში მოაქცევს. განათება, ფერი, გემოვნებით გამოყენებული მასალის ფაქტურა, ფურნიტურა გამომხატველობითია და მათზე წუთიერი მოდა არ ბატონობს. ამ მყუდრო საცხოვრებელი გარემოს ყოველ ფრაგმენტში ახლის - თანამედროვეს სულიერება შეიგრძნობა და ვისაც უნარი აქვს შეიგრძნოს თეატრალურობას მოკლებული სილამაზე, სრულად აღიქვამს სახლის ესთეტიკას.

ნინო ლალიძე











# Identity of the Rational and the Aesthetic

This residential house has been designed by architects Manana Khvedeliani, Nugzar Khvedeliani, David Sulkhanishvili..

Balance of rational and aesthetic are the key principles, underpinning the design, created without any excessive experiments, special effects or superficial architectural decorations. Obviously, the authors did not give himself up to aesthetics for aesthetics sake only. Design, built upon the habits, lifestyle, characters of a specific family, is a peaceful, comfortable house, and not a show-

room or modern art museum. The interior is absolutely isolated from the outer world

and opens up onto four inner courtyards, of which one contains a greenhouse.

Integrity and harmony of the house are greatly due to its efficient planning solution. Open

and closed spaces are integrated by themes, highlighting the general style of the house. Lighting, colors, tastefully matched textures and furniture further highlights individuality of the house without pointing out to any transient fashion trend. Each fragment of this unusually comfortable living space radiates spirituality and invites to relish beauty devoid of any stage effects.

NINO LAGHIDZE





# იმიჯების მოდელირება











წარმოდგენილი ინტერიერის (ბარ-რესტორანი „ლესელიძის № 55“) სტილის პლასტიურ სახეში ნაცნობი, თითქოსდა შეუთავსებელი პროტოტიპები გამოიცნობა - მოდერნი და ავანგარდი, ფუნქციონალიზმი და დეკორატივიზმი, მაგრამ არა პოპ დიზაინი - და აერთიანებს მათ თავის შემოქმედებით „სამზარეულოში“, შედეგად იღებს სავსებით მხატვრულ - პროდუქტს, საბოლოოდ კი საუკეთესო ინტერიერს.

ეს რასაკვირველია პროფესიონალური კალეიდოსკოპია, მაგრამ ახლებურად, ვირტუოზულად გამოიყურება და უკვე არსებულთან თავისი არამსგავსებით, არტ-გურმანების წარმოსახვას იპყრობს. საქმე იმაშია, რომ ოთარ ვეფხვაძის დიზაინი - ავანტიურისტული ეკლექტიკაა, რომელიც მეტად საინტერესო ინტერიერში სავსებით წარმოუდგენელი „მღელვარე“ იმიჯების მოდელირების საშუალებას იძლევა - ფოტო-კადრებად გარდაქმნილი მელოდია, ჰაერს შერჩენილი მისი ბგერები, სადღაც გამქრალი მოხეტიალე მუსიკოსი, რომანტიკული ოაზისი...

ნინო ლალიძე







# With impossibly thrilling images







Flexible image of this public interior (Bar-Restaurant ,,#55 Leselidze str,,) evokes associations with very familiar but seemingly controversial prototypes – modernism and avant-garde, functionalism and decorativism (without any trace of pop design, though), brought together in one melting pot to produce a highly artistic, refined interior. This commonly professional kaleidoscope looks surprisingly innovative and ingenious, heating the imagination of art gourmands with its difference from all they know and are used to. The point is that Otar Vepkhvadze's design is based on opportunist eclectics, which enables her to fill an interesting but ordinary interior with impossibly thrilling images of frozen melody,his sounds, strolling musician, romantic oasis…

NINO LAGHIDZE



# Prive

## La bibliotheque

კონცეპტუალური სტილის ტანსაცმლის მაღაზიის Prive (La bibliotheque) ინტერიერის დიზაინი, რომელიც თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა, არქიტექტორების ირაკლი აბაშიძის, ოთარ ნემსაძის, დიმიტრი შაფაქიძის (შ.პ.ს. „არქიტექტურის ლაბორატორია №3“) ერთობლივი ნამუშევარია.

მოცემულ სივრცეში მაღალი ხარისხის ბრენდის წარმოჩენისას შესაბამისი დადებითი განწყობის შესაქმნელად მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერითი კონტრასტებით, თანამედროვე ინტერიერი შეიქმნა.

საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად





იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივად ცვალებადი პროდუქციის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას.

ავტორთა ძალისხმევით, სივრცეში აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. ინტერიერის დიზაინი დახვეწილი გემოვნების და შესაბამისი ინტელექტუალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე









Interior of conceptual design clothes shop Prive (La bibliotheque) launched in Paliashvili str. in Tbilisi, has been designed by architects Irakli Abashidze, Otar Nemsadze, Dimitri Shapakidze ("Laboratory of architecture #3" Ltd.).

To create a positive environment, required for promotion of high quality brands, the designers created a modern interior space with clear-cut architectural graphics, original choice of furniture and contrasting colors. The style of the shop interior – industrial post-modernism design – is as free and uninhibited as that of the clothes it features.

Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior and highlight originality of constantly changing clothes collections exhibited on the shelves and racks.

The authors have succeeded in designing a highly comfortable space, standing as a proof to their refined taste and urban thinking.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY TAMRI BOLKVADZE





# საზოგადოებრივი ზონის მოცულობითი სტრუქტურა



არქიტექტორ რუსუდან თუმანიშვილის ძალისხმევით, აღქმადი ლაკონიზმით შენიღბული ზუსტად გათვლილი გადაწყვეტების ფონზე, მისი დატვირთვის სპეციფიკის შესაბამისი, სტილური გარემო შეიქმნა.

მაქსიმალურად ეფექტურად წარმოჩენილი შედეგი ორიგინალურობით გამოირჩევა და ფუნქციონალურად და ესთეტიკურად შეესაბამება კონკრეტულ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ოფისის ინტერიერის არქიტექტონიკა პლასტიურად ვითარდება. ყოველი დიზაინერული ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და კომპოზიციური პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის





სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. არაორდინალური არქიტექტურული ნიუანსებით შექმნილ სივრცეს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის.

ინტერიერის თავისებურება - დეტალებამდე გათვლილი სივრცის ფუნქციური ორგანიზებაა. მსუბუქი დეკორი შესაბამის განწყობას ქმნის. ამგვარად წარმოქმნილი ერთიანი საზოგადოებრივი ზონა აფართოვებს „მანევრირების სივრცეს" და მოცემულ ფართობზე ფუნქციათა მაქსიმუმის კონცენტრირება ხდება შესაძლებელი.

ნინო ლალიძეს





# Volumetric Structure of public zone







Stylish environment of this office, located in Tbilisi, has been created to architect Rusudan Tumanishvili.

The highly efficient design, based on precisely calculated laconic solutions, is original, aesthetic and function-specific. The construction conforms to a supreme compositional principle, integrating diverse forms into a flexible structure.

The interior space is surprisingly well-organized. Unusual and light decor helps create a relevant atmosphere. The unified, unbroken public zone leaves a lot of space for maneuvering and allows for maximal concentration of functions.

NINO LAGHIDZE











# სითი კლუბი

წარმოდგენილი კლუბის ინტერიერი (მან ძველ თბილისში დაიდო ბინა) ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა. სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. სხვადასხვა გეომეტრიული, მობილური ფორმების შერწყმით, ფერთა გრადაციით, მისი მოცულობა დინამიური და შესაბამისად მრავალფეროვანია. პროექტის ავტორი - არქიტექტორი ნათია კარიაული გახლავთ.

დამკვეთი, აბსოლოტურად მიენდო პროფესიონალს, რის საფუძველზეც, არქიტექტორს სრული თავისუფლება მიეცა საკუთარი იდეების გასახორციელებლად.

არაორდინალური საზოგადოებრივი გარემო, ვიზუალური სიმსუბუქით და სილუეტის გრაფიკული დინამიკით, ფერითი პალიტრით თავიდანვე იპყრობს ყურადღებას. დიზაინი თავისი პიკანტურობის მიუხედავად, თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია.არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფები ერთმანეთთან მოხერხებულადაა დაკავშირებული. ინტერიერის ატმოსფერო ჰაერითაა სავსე და თავისუფლების შეგრძნებითაა გაჟღენთილი. დიდი მასების კონსტრუქციულ სიმსუბუქეს, დიზაინის ელემენტებიც იმეორებენ. სივრცის მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი, მიკრო სამყაროს „განწყობის“ შესაბამისად აღიქვამს.

ნინო ლალიძე
ფოტო: ნათია კარიაული





















# City Club

This public interior (in old Tbilisi) described in this article features an original composition. A range of various geometric mobile forms highlights flexibility and diversity of the volume. The project is created by architect Natia Kariauli.

The client chose not to intervene into the process of interior decoration, so that the designer was completely free to realize her creative ideas.

The unusual public environment catches the eye with its visual lightness and graphical flexibility of the shapes. Main architectonic groups are very conveniently linked with each other. The atmosphere of the interior is airy and uninhibited. Constructional lightness of large masses is reiterated by minor design elements. A noteworthy feature of this interior is a range of decorative compositions

NINO LAGHIDZE

PHOTO BY NATIA KARIAULI









# ინტერიერის დიზაინერული ინტონაციები









თბილისში რუსთაველის გამზირზე კომპანია „მაგთის“ საზოგადოებრივი სივრცის თანამედროვე გარემო განსაკუთრებული, გამომხატველობით გამოირჩევა და არაორდინალურად ტრანსფორმირდება რეალობაში. მისი ინტერიერი დიზაინერების ნია მგალობლიშვილის, ია ლიპარტელიანის და სოფიო შევარდნაძის (შ.პ.ს. „დიზაინ ბიურო“) პროექტით განხორციელდა. დახვეწილი არქიტექტონიკა, ლამაზი ფურნიტურითა და ფრაგმენტებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებულად მომხიბვლელია. აქ, ყოველივე მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიადაა გარდაქმნილი. დეტალები, დიზაინში მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. საინტერესო მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი ერთიანობის ფერითი გამის გამჭვირვალება დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის წყნარი ტონებითაა აქცენტირებული. საქმიანი ურთიერთობებისთვის კომფორტული გარემოა შექმნილი.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი





# Design Laflexions of Interior Spase



Pulic space in its present-day interpretation isnot just a comfortable interior, but rather an indi-vidual entity, featuring a unique atmosphere and merging with the outside world according to its own principles.

The project of Office of Magti Company (in Rustaveli awe.Tbilisi) has been created by DESIGNBUREAU (Designers: Nia Mgaloblishvili, Sophio Shevardnadze, Ia Liparteliani)

. Its refined architecture and interior design, decorated with beautiful furniture and accessories, have a special charm.

Originality and expressivity of design elements integrate the space, in which architectonics and general color palette is high-lighted by contrasting tones of furniture and ornaments to form a perfect setting for leisure and relaxation.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY IRAKLI BLUISHVILI







# ახალი ჯაზ-კლუბი თბილისში





„მაგთი კლუბი“ თბილისში რუსთაველის გამზირზე მდებარეობს. მისი ინტერიერის ავტორები, დიზაინერები - ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი, სოფიო შევარდნაძე არიან. დიზაინერებმა ღრმა და შთამბეჭდავი კომპოზიცია შექმნეს, სადაც სივრცის მთლიანობას მოდულური ელემენტების ერთობლიობა ქმნის. ინტერიერში ვიზუალური სტილისტიკისა და კულტურულ-მხატვრული ენის ელემენტებია შეტანილი. აქ, "დეკორაციები", შემოქმედებითად მხატვრული და შთამბეჭდავია.

თვითმყოფადობის ატმოსფეროს უამრავი საგანი, აქსესუარი და ტონალობათა არეალი განსაზღვრავს. ყოველივეს თავისი ალაგი აქვს მიჩენილი.

ავტორთა მიერ გათვლილია ყოველი, თითქოს შემთხვევითი დეტალი და ნიუანსი. ფორმით, ფერით, და ინფორმაციით დატვირთული დეკორაციები ჰარმონიულია სივრცით გადაწყვეტასთან, რომელიც მხატვრული ავანგარდისა და ინტელექტუალური აურითაა გაჟღენთილი.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი



# New Jazz club in Tbilisi

Decorative Palettes The Jazz Club of Magti Company is located in a beautiful district of Tbilisi, in Rustaveli awe. Interior of the restaurant and decorative fencing, has been designers Nia Mgaloblishvili, Ia Liparteliani, Sophio Shevardnadze.

The interior is based on visual stylistics as wellas certain cultural and artistic implications. The design overall is highly creative and appealing. Originality of the atmosphere is highlighted by coloring effects and an array of carefully positioned decorative articles and accessories. The diversity of this little world has a surprising power of making everyone feel perfectly at home. The authors has carefully considered every seemingly accidental detail. Decorations with their meaningful form, color and connotation are in full harmony with space planning, saturated with an aura of artistic vanguard and intellect.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: IRAKLI BLUISHVILI





# ელეგანტურობა დეკორში

ძველი თბილისის მყუდრო ქუჩაზე არსებული ლიტერატურული კაფეს ინტერიერი თვითმყოფადია - აბსოლუტურად განსხვავებული სტილისტიკით გამოირჩევა. არაორდინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს. ინტერიერის ელეგანტურობა დახვეწილ დეკორში ვლინდება, შესაბამისად ავტორის - ბორის პაიჭაძის პროფესიონალიზმი ყოველ ფრაგმენტში შეიგრძნობა.

სივრცის სწორად ორგანიზაცია, ფერისა და მასალის ჰარმონია, ოსტატურად მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, მოცემულ სათავსოთა საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული აქსესუარები ... უზადო დიზაინი, საერთო იდეითა და თემით გამთლიანებულ, ჰარმონიულ ინტერიერულ სახეს ქმნის. მასში დეტალურადაა გათვლილი ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა და არქიტექტორმაც, მოცემულ შემთხვევაში, ამოცანა, ყოველივეს გათვალისწინებით, გადაწყვიტა.

ნინო ლალიძე

ფოტო: გია ჯაველიძე









# Elegance in Decor

The interior of Litewratural Cafe in old Tbilisi features original, absolutely unique stylistics. Elegance of the interior, revealed in refined decor, manifests the professionalism of its authors Boris Paichadze.

Correct spatial organization, harmony of colours and materials, tasteful choice of light fixtures, furniture and accessories, conforming to general stylistic solution… Flawless design, serving to form a harmonious interior, integrated by a general idea and theme. With every detail carefully considered and matched to the owner's individuality, the designers successfully reached their goal in every aspect.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY GIA JAVELIDZE





# მითკაფე





ამჯერად წარმოდგენილი, არქიტექტორ ელენე ციციშვილის მიერ განხორციელებული, თბილისში ახლადგახსნილი, რესტორნის - „მით კაფე"-ს გარემო სასიამოვნო მოულოდნელობებზეა აგებული. სივრცეში, ორიგინალური კომპოზიციების, ნივთების, ნაკეთობების, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. სალონში საზოგადოებრივი ცხოვრება რამოდენიმე დომინანტი ნიუანსისადმია კონცენტრირებული, თუმცა არალოკალურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი, დეკორატიული ნაკეთობებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ თანამედროვე ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის თვითმყოფადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

ნინო ლალიძე



# Meat Cafe







The interior of newly-opened in Tbilisi Reasaurant Meat Cafe designed by architect Elene Tsitsishvili is built up on the effect of pleasant unexpectedness.

Original compositions, articles and accessories are distributed within the space in accordance with definite rules, by large defining the general character of the atmosphere. The interior is filled with an array of interesting themes, and this is the key creative principle underlying its design. The public activity within the interior is focused on several dominants, though in a non-localized manner. The visitors, looking at this improvised exposition of decorative articles, are sure to feel that the aesthetics of modern public interiors should be based not only on modern-style forms and objects, but also on the characteristic touches and associations with the past, indispensable for highlighting individuality of the space.

NINO LAGHIDZE



# კომფორტი ნიუანსებში



თანამედროვე საცხოვრებელი ინტერიერის მხოლოდ კომფორტული გარემო არ არის. იგი, განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გამომხატველობით გამოირჩევა და აქ არსებული ყოფის შესაბამისად რეალიზდება.

წარმოდგენილი ინტერიერი, არქიტექტურული კომპანია „არტფაქტი“-ს (დირექტორი: არქ. ვ. თოხაძე) პროექტით შეიქმნა. მისი მოქნილი გეგმარება, დახვეწილი, დინამიური ფორმები, ფურნიტურითა და ლამაზი საგნებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი შთამბეჭდავი და თვითმყოფადია.

დიზაინში, დეტალები არაორდინალური ნიუანსებით გამოირჩევა და სივრცის საინტერესო ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. „მსუბუქ“ ერთიანობაში საერთო ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების ტონებითაა აქცენტირებული.

ნინო ლალიძე

ფოტო: გია ჯაველიძე



# Comfort in Details



The modern style of a residential interior is more than just comfortable. The place is cozy in a special way, transforming into the reality according to its own artistic laws.

The interior was designed by Company ArtFact (Director: architect V.Tokhadze). Its flexible planning, refined and dynamic exterior forms and original interior, filled with beautiful furniture and accessories, convey some unique charm.

Design details possess special expressivity, which increases the general originality of design. The space feels integral in spite of being divided by visible or invisible barriers; general color palette of the interior is accentuated by contrasting tones of accessories. It is very easy to imagine how pleasant day-to-day life in this house would be.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: GIA JAVELIDZE







# კომფორტი საცხოვრებელ სივრცეში





საცხოვრებელ გარემოში, მისი ინტერიერის გადაწყვეტისას, რომელიმე სტილისთვის უპირატესობის მიცემით, ხანგრძლივი დროით შეირჩევა განსაზღვრული ატმოსფერო - ცხოვრების წესი. აქ გამეფებული სტილი, კი თავად ზემოქმედებს მის მობინადრეებზე. წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერის ავტორი, არქიტექტორი ვასილ თოხაძეა.

ავტორმა, საკუთარ პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფურნიტურის ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით და ფერის ლავირებით, თანამედროვე დახვეწილი ინტერიერი შექმნა. ავეჯი და დეკორატიული ნივთები გემოვნებითაა შერჩეული. დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

საცხოვრებელ სივრცეში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, მასში სიმსუბუქე შეაქვს და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნის. სტილისტურ მთლიანობაში, სივრცის თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა, ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება.

ნინო ლალიძე

ფოტო: გია ჯაველიძე













# Comfort in Residential Interior

When designing interior of a residential place, with an accentuated stylistic trend, one creates a definite atmosphere, which will remain unchanged for many years to come, influencing a lifestyle of its inhabitants. Interior of this ressidential was created by architect Vasil Tokhadze.

Based on his professional experience, the author designed a refined modern interior with streamlined architectural graphics and original mosaic of shapes and volumes. The furniture and accessories have been matched with flawless taste. A wide range of constructional and decorative elements visually increases the interior, intensifies the shapes and depth of colors.

Unexpected design strokes add lightness to this residential space and highlight its comfortable planning. Various parts of the interior are markedly individual and functional, though not falling out of the general stylistic theme; zone-to-zone contrasts cause a feeling of weightlessness and freedom, further strengthened by decorative elements.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: GIA JAVELIDZE







# ინტერიერის თავისუფალი სტილი

წარმოდგენილი ინტერიერის ავტორი არქიტექტორი მერაბ გუჯეჯიანი გახლავთ.

საცხოვრებელ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

საცხოვრებელში, ავტორმა, აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შექმნა. ინტერიერის დიზაინი, მის ბინადართა გემოვნების, სოციალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლაღიძე







# Free Style of Interior Design

The author of this interior is architect Merab Gujejiani. Considering the taste and expectations of the house owner, they created a refined modern interior space with clear architectural graphics, original furniture and skillful color contrasts.

Unexpected design touches add lightness to the residential space and increase the efficiency of its planning. In the stylistic integrity, individuality and functional specificity of each room stand out. All elements of the space serve to highlight the feeling of freedom, visually increase the space, accentuate its form, define the depth and intensity of colors.

Creating this interior, author endowed it with comfort and originality, which would not look natural in any other place. In other words, the design represents an incarnation of the inhabitants' taste and social position.

NINO LAGHIDZE









# საცხოვრებელი გარემო კონკრეტული ოჯახისათვის

ავტორები: ბორის პაიჭაძე, ზურაბ დვალიშვილი

საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბება-გაფორმების ძირითადი იდეა დიზაინერული სვლის განუმეორებლად, ფუნქციურად სხვადასხვა ზონების ეფექტურ გადანაწილებაში მდგომარეობს. თავისი არქიტექტონიკით თვითმყოფადი, დამოუკიდებელი სათავსოები საცხოვრებელი მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. აქ მოხვედრისას, სტუმარს მასპინძლებთან საკუთარი „მერკანტილური" საკითხების გარკვევამდე, ამაღლებული, თბილი განწყობა ეუფლება, რაც კვლავ მოსვლის სურვილს ბადებს.

ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით აღიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, დიზაინერის შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს და არაორდინალურია. მთლიანობაში, კი ავტორის ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.

ნინო ლალიძე

ფოტო: გია ჯაველიძე







# Living Space for a Particular Family

**Authors: Boris Paichadze, Zurab Dvalishvili**

The key highlight of this residential interior is efficient development of design theme from zone to zone. The spaces with their original architectonics integrate into an utterly comfortable living environment. A visitor entering this apartment perceives its positive, pacifying atmosphere from the very first step and feels an urge to visit the place again and again.

Every detail in the interior is positioned so as to stand out with most efficiency. Approach toward shapes, textures and colours clearly expresses the designer's artistic principles and perfect taste. On the whole, the author's interesting and original solutions aim to achieve one and only goal – to create a living environment, guaranteeing comfortable and tasteful life to one particular family.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY GIA JAVELIDZE















# ელეგანტურობა ყოველ ნიუანსში

ახალგაზრდა დიზაინერის ლალიკო შაშიაშვილის პროექტით თბილისის ერთ-ერთ საცხოვრებელ სივრცეში ულამაზესი ინტერიერული მონაკვეთები შეიქმნა, რომელსაც მისი სპეციფიკის თუ კონცეპციის განხილვის გარეშე წარმოგიდგენთ.

საცხოვრებელში სივრცე ზედმიწევნით სწორადაა ორგანიზებული. ფერისა და მასალის ჰარმონიაში, ოსტატურადაა მოფიქრებული და გადანაწილებული განათების დიზაინი, კონკრეტული სათავსოს საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისად, გემოვნებითაა შერჩეული ფურნიტურა, ტექსტილი და აქსესუარები. დიზაინი, ერთიანი იდეითა და თემით გამთლიანებულ ინტერიერულ სახეს ქმნის, რომელშიც გათვლილია ყოველი ნიუანსი, გათვალისწინებულია დამკვეთის ინდივიდუალურობა.

წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი დახვეწილია და ზომიერი დეკორით გამოირჩევა. სხვადასხვა დანიშნულების, დიზაინერული თვალსაზრისით თვითმყობადი, დამოუკიდებელი მონაკვეთები არსებული მთლიანობის კომფორტს, სიმყუდროვეს განაპირობებს. ორიგინალური ანტურაჟი საგნობრივ გარემოს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს, შესაბამისად ინტერიერის ელეგანტურობა ყოველ ნიუანსში ვლინდება.

ნინო ლალიძე
ფოტო: გვანცა ახალზედაშვილი















# Elegance in to every detail

Young designer Laliko Shashiashvili managed to realize their ideas and creative concepts in a new residential interior in Tbilisi. Far from engaging into a detailed review of their specifics and conceptions, we would like to present to your attention still this residential interior.

This residential space is organized with utmost precision. The harmony of colors and design materials, a skillfully planned lighting system, stylistically and functionally relevant furniture, decorative articles and accessories… Flawless design forms a conceptually integrated space, all the components of which are carefully considered to match both the style and the owners' personality.

Original interior of the apartment we are describing here boasts a moderate but refined decor and absolutely unconventional stylistics.Various zones, differing by function and design, merge to form an integral, comfortable space. Original atmosphere highlights the diversity of objects and manifests careful attention of design author to every detail, which is a true declaration of their professionalism.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY GVANCA AXALBEDASHVILI

















# სივრცის ორიენტირი

**საცხოვრებელი ინტერიერი**
**თბილისი.**
**ავტორი: ლალიკო შაშიაშვილი**





წარმოდგენილი ინტერიერის დიზაინი არაორდინალური და კომფორტულია.

საცხოვრებლის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები - საცხოვრებელ გარემოში წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალ, ღია სივრცეში შესაბამისადაა შერჩეული ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები.

ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფერია. მისი გრადაცია სიმყუდროვეს განაპირობებს, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს. საცხოვრებლის ხასიათი ბუნებრივი და ხელოვნური განათების შერწყმითაც ფორმირდება - მასში სხვადასხვა „მოცულობები" იქმნება და სივრცის კომპოზიციური ნიუანსები წინა პლანზეა წამოწეული. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

ნინო ლალიძე

ფოტო: ბუბა სვიმონიშვილი,

ლიზი მარკოიშვილი





# Something stupid about space

**Residential Interior**
**Tbilisi**
**Author: Laliko Shashiashvili**

Design of this interior is unordinary and comfortable.

Originality of the apartment is highlighted by highly individual features – unexpected design touches, making the environment more uninhibited and comfortable, matching furniture, accessories and decorative articles.

Most important elements in the stylistic solution of the interior are color and lighting. Their gradations help define the character of house, provide an efficient background and highlight the shapes of any object, subtly bringing to the fore compositional peculiarities of the space.

Every part of the interior is original and attractive. When viewed from different angles, the components of the design gain special importance and exceed their utilitarian meaning.

NINO LAGHIDZE

PHOTO BY BUBA SVIMONISHVILI, LIZI MARKOISHVILI







































# სილამაზის ხედვა

„ტექნოკომპარკი“ წარმოადგენს მრავალპროფილიან ფირმას, ფირმის სახელთან ასოცირდება ქ. თბილისში მთაწმინდის და ქ. ქუთაისში ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურის და დასვენების პარკებში ატრაქციონების მონტაჟისა და გაშვების სამუშაოების ტექნიკური უზრუნველყოფა. საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს არა მარტო შემოტანილი ატრაქციონების მონტაჟის და გაშვების პროცესში, არამედ თვითონ აღადგენს და მოდერნიზებას უკეთებს ურთულესი კონსტრუქციების ატრაქციონებს, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, ატრაქციონი "წრიული თვალთახედვა" ქ. ქუთაისის პარკში. დღეს კომპანიას გააჩნია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც საშუალებას აძლევს მას მოახდინოს არა მარტო სარეაბილიტაციო სამუშაოები, არამედ თვითონ აწარმოებს ნებისმიერი სირთულის და სიმძლავრის საპარკო ატრაქციონების და არა მარტო მათ: დაცვის თანამედროვე სისტემებს (შეძენა ინსტალირება, მომსახურება), კომპანიის მიერ საკუთარი წარმოების გახმოვანების თანამედროვე სისტემებს (პროექტირება, მონტაჟი, გაშვება და მომსახურება), ვიდეო და სხვა სახის თამაშებს (შეძენა, დამონტაჟება, გაშვება, მომსახურება), მზის ენერგიის გამოყენების სისტემებს (პროექტირება, შეძენა, მონტაჟი, გაშვება, მომსახურება), როგორც შიდა, ისე გარე განათების ეკონომიურ ელექტრო ნათურებს, შადრევნების განათებას და სხვა ელექტრო საქონელს.

დაგეხმარებათ კონდენციონერების და გაციების სისტემების პროექტირებაში, მის შემდგომ შეძენაში, მონტაჟში, გაშვებასა და მომსახურებაში.სხვადასხვა მანქანადანადგარების (როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო) შეძენაში, პროექტირებაში, მონტაჟში, გაშვებასა და მომსახურებაში. ლითონის ახალი მეთოდებით დამუშავების დაზგა-დანადგარების, მათ შორის მიკროპლაზმური ჭრის ხაზების (ავტომატური და ნახევრად ავტომატური რეჟიმით) შეძენაში, ინსტალირებაში, გაშვებასა და მომსახურებაში. სხვადასხვა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებაში პროექტირებიდან დაწყებული საბოლოო პროდუქტით დამთავრებული.

















# To Value Beauty

TechnoComPark Ltd is multi profiled company, with company's name are associated such big projects like installing attractions and ensuring their technical maintenance works in Tbilisi's Mtatsminda Park and Kutaisi's Park of culture and rest.

Society actively takes part not only in the process of installation works and start up, but in restoring such a complexed attraction like Big Wheel in Kutaisi's Park of culture and rest.

Nowadays company has powerful material-technical basis. That is good background for rehabilitate and produce any kind of park attractions and not only.

We offer you: For Park business: with above mentioned works company also introduces a passport system for the sites, staff trainings ensuring certificates, technical maintenance of the sites.

We can connect you with the attractions producer companies in any point of the world for getting any information you are interested in. We'll provide our view and conception regarding economical expanding of parks. We can advice how to save electricity. Organizing the sites according to the newest standards, introduced of advanced methods of work, advertising and marketing strategies will let your business be commercially strong with high profit; Security systems (delivery, installation, maintenance); Modern sound systems produced by our company (projecting, installation, start up, maintenance); Video Games, also other types of games (delivery, installation, start up, maintenance);

Solar energy systems (projecting, installation, start up, maintenance);Thrifty bulbs for internal, external lightning, illuminations for fountains and any kind of electric products.

We shall Phelp you with: Projecting, delivery, installation, start up and maintenance of the Conditioning and Cooler systems;Projecting, delivery, installation, start up and maintenance of plants and gears for agricultural, also for heavy and light industries; Plants for metal modern treatment, including micro plasmatic cutting lines with automatic and half-automatic modes; Any kind of constructing and installing works, beginning with projecting tll handing the product.

კონკურსი

COMPETITION

# MIZAR TI PREMIA!

# ყურადღება კონკურსი!

2010 წელს, პირველად, ჟურნალი "სტილის" , "არქიტექტორთა კლუბის" და კლუბის პარტნიორი კომპანიის MIZAR-ს ეგიდით ტარდება კონკურსი.

კონკურსი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცეების, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.

კონკურსი ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის.

კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება ხელოვნული განათების სისტემებით აღჭურვილი რეალიზებული და სარეალიზაციო პროექტები და იდეები.

- კონკურსის მიზანია საუკეთესო პროექტის (პროექტების) წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ განათების დიზაინის განვითარების საქმეში;

- კონკურსის გამარჯვებულ პროექტს მიენიჭება კომპანია MIZAR-ის სპეციალური პრიზი;

- საერთაშორისო კონკურსის ნომინაციები დამტკიცდა კონკურსის ორგანიზატორის - კომპანია MIZAR-ის მიერ.

**საერთაშორისო კონკურსზე განიხილება ნამუშევრები შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**

- ისტორიული შენობების და მონუმენტების განათება;
- პარკების, მოედნების, ბაღების განათება (ურბანისტიკა, პეიზაჟისტიკა);
- დროებითი განათების პროექტი (დროებითი საგამოფენო თუ საპრეზენტაციო სივრცე და ა.შ.)
- პერმანენტული განათების პროექტი (კერძო ბინები, მაღაზიები, ოფისები, კომერციული ცენტრები - შიდა და გარე განათება).

კონკურსის ჟიური დაკომპლექტებულია კომპანია MIZAR-ის, ჟურნალი "სტილის" და "არქიტექტორთა კლუბის" წარმომადგენელი პროფესიონალებისგან.

**კონკურსის მიზანია:**

- ქალაქგეგმარების, არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინის სფეროში განათების თანამედროვე მსოფლიო ტექნოლოგიებისა და სტილისტიკის განვითარების სტიმულირება;

**შესაბამისად:**

- საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეების თანამედროვე მსოფლმხედველობის შესაბამისად ფორმირება;
- თანამედროვე მსოფლიო პროცესში სამამულო არქიტექტურის ინტეგრაცია;
- განათების თანამედროვე ტექნოლოგიებითა და დიზაინერული გადაწყვეტებით შექმნილი საუკეთესო პროექტების წარმოჩენა.

კონკურსში მონაწილეობისათვის ვიწვევთ არქიტექტორებს, დიზაინერებს, რომლებიც დახვეწილი დიზაინის განათების სისტემების გამოყენებით, ინტერიერისა და არქიტექტურის თანამედროვე სტილისტიკას ქმნიან, აგრეთვე ინტეგრირებულ, ნოვატორულ, საინვესტიციო ქალაქგეგმარებით წინადადებებს წარმოაჩენენ.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების პირობები:**

- კონკურსზე 2010 წლის 10.09-მდე, მიიღება ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული რეალიზებული ობიექტები, საინტერესო ქალაქგეგმარებითი კონცეფციები და არქიტექტურული პროექტები;
- კონკურსი ტარდება ძირითადად პროფესიული აუდიტორიისათვის;



წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას იმ არქიტექტორთა შესახებ, რომლებიც კომპანია MIZAR-თან თანამშრომლობენ და მის წარმომადგენლებთან ერთად არიან აღნიშნული კონკურსის ჟიურის წევრები.

Below please find brief information on architects, cooperating with MIZAR, who form part of the jury, evaluating this competition.



**სილვიო დე პონტე, არქიტექტორი და დიზაინერი**

სილბიო დე პონტეს პროფესიული გამოცდილება მოიცავს თანამშრომლობას სხვადასხვა მსხვილ კომპანიებთან („მიცარი“, „სენიო“, „ფაივპ ლაიტყ და კარბონი ლაიტი“, „ფაბიანი“, „ფონდერ ვიტერბეზი“, „ბიფი ლუჩე“) საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეებისთვის განკუთვნილი გასანათებლების დიზაინის შემუშავების კუთხით, საერთაშორისო ექსპოზიციების დიზაინს, უამრავ საერთაშორისო პროექტს, პედაგოგიურ მოღვაწეობას იტალიის და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

**Silvio De Ponte, architect and lighting designer**

Silvio De Ponte's professional record includes lighting products for the home and for public spaces for important companies (Mizar, Segno, Fivep Lite & Carboni Lite, Fabbian, Fonderie Viterbesi, Biffi Luce), exhibition design, various other international projects, diverse teaching background in higher education establishments in Italy and abroad, image making for such brands as Cariboni Lite, Fivep Illuminazione, Fiat, a number of publications, experimental research to analyse the relationship between light and materials.

- კონკურსანტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ნამუშევართა ნებისმიერი რაოდენობა და ერთდროულად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ნომინაციებში;

- განსახილველი ნამუშევრები მიიღება 2010 წლის 10.09 -მდე ინტერნეტის მეშვეობით კონკურსის სპეციალურ ვებგვერდზე წარმოსაჩენად.

**კონკურსის ჩატარების თანამიმდევრობა:**

- წარმოდგენილი ნამუშევრები განიხილება კონკურსის ჟიურის მიერ. ნამუშევრების შერჩევა წარმოებს ორ ეტაპად:

**I ეტაპი:**

- ადგილობრივი ჟიურის მიერ, კონკურსის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი პროექტებიდან საუკეთესოთა შერჩევა (თითოეულ ნომინაციაში საუკეთესო ნამუშევარი ან ნამუშევრები) ;

კონკურსის პროფესიული ჟიურის თითოეული წევრი ფარული კენჭისყრით 10 ბალიანი შკალით აფასებს წარმოდგენილ მასალას, გამოყოფს, რა თითოეულ ნომინაციაში საუკეთესო ნამუშევარს.

- შედეგები ავტომატურად დაჯამდება და გამოავლენს გამარჯვებულ ობიექტს.

- მხოლოდ ამის შემდგომ გახდება ცნობილი ავტორის ვინაობა, შესაბამისად დაფიქსირდება ვებგვერდზე.

- საერთაშორისო პროფესიული ჟიურის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება;

- იმ შემთხვევაში თუ კონკურსზე წარმოდგენილია პროფესიული ჟიურის წევრის ნამუშევარი, იგი (წევრი) ხმას არ აძლევს თავის ნამუშევარს (წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შეფასება ანულირდება);

- პირველ ეტაპზე შერჩეული პროექტები დაიბეჭდება ჟურნალი "სტილის" საშემოდგომო (ოქტომბრის - 36-ე ნომერში) და გამოვლინდება კონკურსის ვებ-გვერდზე;

**II ეტაპი:**

- პირველ ეტაპზე კენჭისყრის შედეგების საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება ნამუშევრების შეფასებისას ქულების საბოლოო გადანაწილებით, განიხილავს და კონკურსის ერთ ლაურეატს განსაზღვრავს უშუალოდ კომპანია MIZAR.

კონკურსში გამარჯვებული ერთი პროექტი გამოვლინდება 30 ნოემბერს, გამოქვეყნდება ჟურნალი "სტილის" საახალწლო ნომერში და კონკურსის ვებგვერდზე.

**კონკურსანტთა საყურადღებოდ:**

- ობიექტის ვებგვერდზე დაფიქსირებამდე, დაზუსტდეს ავტორთა ვინაობა;

- საერთაშორისო კონკურსის ორგანიზატორებს შეუძლიათ შეცვალონ კონკურსის პირობები მონაწილეების წინასწარი ინფორმირების საფუძველზე.

**საკონკურსო მასალა მიიღება 2010 წლის 10.09 -მდე;**

- კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ არქიტექტურული, დიზაინერული პროექტის, ტექნიკური ნახაზების, რეალიზებული მოცულობის, ექსტერიერის, ინტერიერის ან მისი ნებისმიერი დეტალის, ფოტო-მასალა (არაუმეტეს 600X600 px), საკუთარი ფოტო-პორტრეტი (100X100 px), JPG ფორმატში, გამოგზავნონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისალებად, მოცემული ელ-ფოსტის მეშვეობით (E-mail: inbox@archistyle.ge; nino@style-magazine.com.ge), შემდეგი თანმიმდევრობით:

პროექტის აღწერა: დასახელება; საერთო ფართი; ადგილმდებარეობა.

კონკურსანტის საკონტაქტო რეკვიზიტები (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, საფოსტო ინდექსი, ტელ, E-mail).

შესაძლებელია მითითებული ფოტო-მასალა და ინფორმაცია მოგვაწოდონ ჟურნალი "სტილის" რედაქციას CD ან DVD დისკებზე ჩაწერილი.







**სერჟ და რობერ კორნელისენები**

სერჟ კორნელისენი, არქიტექტორი, და რობერ კორნელისენი, დიზაინერი, წარმოადგენენ დიზაინერულ სტუდია “სერჟ კორნელისენ BVBA”-ს, რომელიც სპეციალიზირდება განათების კონცეპციების და გასანათებლების დიზაინში. თავისი არსებობის მანძილზე, 1993 წლიდან დღემდე, “სერჟ კორნელისენ BVBA”-მ შეიმუშავა 550-ზე მეტი დიზაინი, რომელიც გამოიყენა 25-მა ყველაზე პოპულარულმა გასანათებლების მწარმოებელმა ბრენდმა.

**Serge & Robert Cornelissen**

Serge Cornelissen, architect, and Robert Cornelissen, designer, represent design office Serge Cornelissen BVBA, exclusively specializing in the design and development of lighting concepts and fixtures. Since its start in 1993, Serge Cornelissen BVBA has realized over 550 different designs produced by more than 25 different trend-setting lighting manufacturers.

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:**

ტელ./ფაქსი: +995 32 37 34 26

მობ: +995 93 42 74 73

ელ-ფოსტა:
nino@style-magazine.com.ge
inbox@archistyle.ge

# MIZAR TI PREMIA!

## ATTENTION – COMPETITION!

In 2010, for the first time in Georgia, STYLE Magazine, Architects' Club and partner of the Club MIZAR Company organize a joint competition, dedicated to residential and public spaces, construction, interior and design. The competition is arranged for architects, designers and other relevant professionals.

Competition entries should represent realized and unrealized projects and ideas involving artificial lighting systems.

- The competition is meant to identify the most efficient project(s) and architects / designers, contributing to development of lighting design;

- Competition winner will receive a special prize, established by MIZAR;

- Competition nominations have been named by organizer of the event – MIZAR Company.

The competition involves the following nominations:

- Lighting of historical buildings and monuments;

- Lighting of parks, squares, gardens (urban development, landscape architecture);

- Temporary lighting projects (temporary exhibition / presentation spaces, etc);

- Permanent lighting projects (apartments, shops, offices, commercial centers – interior and exterior lighting)

Competition jury consists of professionals, representing MIZAR, STYLE Magazine and Architects' Club.

**The competition aims at:**

- Promotion of advanced lighting technologies and stylistic development in urbanistics, architecture and interior design and, consequently

- Development of modern concept of residential and public space;

- Identification of the best projects, incorporating advanced lighting technologies and design solutions.

Participation in the competition is open to architects and designers, who develop modern interior design and architectural stylistics with the help of lighting systems and generate integrated innovative urban development proposals.

**Competition terms**

- Competition entries – recently realized projects, urban development concepts and architectural projects – can be submitted until September 10, 2010;

- Competition is mostly intended for the professionals;

- Competition participants can submit an unlimited number of entries in different nominations;

- Competition entries can be submitted via internet and will be published at the dedicated competition website.







**ტობია სკარპა**

დაიბადა ვენეციაში 1935 წლის 1 იანვარს; 1969 წელს დაამთავრა ვენეციის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი; 1957 წლიდან თანამშრომლობს არქიტექტორ აფრა ბიანჩინ სკარპასთან დიზაინის, არქიტექტურისა და ისტორიული ძეგლების რესტავრაციის სფეროებში. ტობია და აფრა სკარპას დიზაინერული ნამუშევრები ინახება მსოფლიოს უმსხვილესი მუზეუმების კოლექციებში და დაჯილდოებულია მრავალი საერთაშორისო პრიზით.

**Tobia Scarpa**

Born in Venice on January 1 1935, and graduated in architecture from the Istituto Universitario di Venezia in 1969. He has worked together with architect Afra Bianchin Scarpa since 1957, in the fields of design, architecture and the restoration of monuments. Design projects by Tobia and Afra Scarpa have won many international awards; some of their works are in the collections of the most important museums in the world.



**Competition timeline**

- Competition entries are evaluated by the jury. Evaluation and shortlisting of the entries is a two-stage online process as follows:

**Stage 1**

- The jury selects the best projects in each nomination from among the competition entries, published at the website;
- Competition entries are evaluated using a special code system. Each entry, marked with a unique code, is publicly available at the competition website;
- Judges rate competition entries online with secret vote (awarding points from 1 to 10 to each entry);
- The results are automatically summarized to identify nomination winners;
- Following the end of evaluation process, names of the project authors are published on the website;
- Members of professional jury have one vote each;
- In case if jury members submit their projects for participation in the competition, they cannot give marks to such projects (otherwise their votes become void);
- Projects, selected as a result of the first stage, will be published in the autumn edition of STYLE Magazine (October 2010, issue no. 36) and competition website.

**Stage 2**

- Based on distribution of competition points, MIZAR will review the projects, identified as winners of the first stage and single out one competition laureate.
- Competition laureate will be announced on November 30 2010; this project will be publicized in the New Year edition of STYLE Magazine and the competition website.

**Attention competition participants:**

- Please identify yourself clearly when submitting your project to the competition website;
- Please remember that competition organizers have a right to change competition terms having preliminarily distributed relevant information to the participants.

**Deadline for submission of competition entries: September 10 2010**

- Competition participants can submit their entries for participation in the competition by uploading photo materials reflecting their architectural and design projects, drawings, realized objects, exterior or interior designs or their elements (JPG format, maximum size: 600x600 px) and their own photo portraits (JPG format, maximum size: 100x100 px) to website www.style-magazine.com.ge, under the heading "MIZAR Competition" AND by sending applications for participation in the competition to the following e-mail addresses: inbox@archistyle.ge; nino@style-magazine.com.ge

Applications for participation in the competition should contain the following information:

Project description; Desirable nomination; Name of the project; Total area; Location; Your contact details (First name, last name, Place of employment, Postal address, Contact telephones, Postal code, E-mail)

It is also possible to submit competition materials, recorded on CDs or DVDs, to the editorial office of STYLE Magazine.

**For additional information, please contact:**
**Tel./Fax: + 995 32 37 26 34**
**Mob: +995 93 42 74 73**
**E-mail: nino@style-magazine.com.ge, inbox@archistyle.ge**





**პაოლო დე ლუჩი, არქიტექტორი**

პაოლო დე ლუჩი, „სტუდიო დე ლუჩის“ დამაარსებელი, მუშაობს ინტერიერის დიზაინის, იმიჯ-მეიკინგის, არქიტექტურული რესტავრაციის და სამრეწველო დიზაინის (განათება, ავეჯი) სფეროში; ძირითადი საქმიანობის პარალელურად, პაოლო დე ლუჩი ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

**Paolo De Lucchi, architect**

Paolo De Lucchi, founder of "Studio De Lucchi", creates interior designs, brand image and architectural restoration projects as well as industrial (lighting and furniture) designs; parallel to his main activity, Paolo De Lucchi also maintains teaching practice.



**დარიო ბეტიოლი, დიზაინერი**

ახალგაზრდა დიზაინერი დარიო ბეტიოლი, რომელიც მუშაობს საკუთარი სტუდიის M.D.W.S.-ს სახელით, სპეციალიზირდება დიზაინზე და ინოვაციურ გასანათებელ სისტემებზე და თანამშრომლობს ისეთ ცნობილ კომპანიებთან, როგორებიცაა „ლაგუნა ლაითი“ და „მიცარი“.

**Dario Bettiol, designer & lighting designer**

Dario Bettiol, young industrial designer specialising in innovative lighting systems, works in the field of design and lighting design in his own study called M.D.W.S. He cooperates with well known lighting industries likes Laguna Light spa and Mizar.







# ნომრის სტუმარი

**აზერბაიჯანელი არქიტექტორი**
**ელჩინ ალიევი**



დაიბადა 1967 წლის 18 სექტემბერს ქ. ბაქოში.

1984-1989წწ. სწავლობდა აზერბაიჯანის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა. საწარმოო პრაქტიკა გაიარა S.V.S.T.-ში (ბრატისლავას უმაღლესი ტექნიკური სკოლა). ელჩინ ალიევის დიპლომი - „ბაქოს ცენტრალური ნაწილის სოციალურ-სივრცითი ორგანიზაციის რეკონსტრუქცია“ - პირველი პრემიით აღინიშნა, პარიზის საერთაშორისო კონ-













კურსზე, აგრეთვე, მიღებული აქვს ჯილდოები გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში.

ელჩინ ალიევი არის:

1989 წლიდან - აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირის წევრი;

1998 წლიდან - აზერბაიჯანის დიზაინერთა კავშირის წევრი;

1994 წლიდან - აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირის სამმართველოს წევრი;

1998 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია;

2002 და 2004 წლებში აღიარებული იქნა საუკეთესოდ, აზერბაიჯანის ახალგაზრდა არქიტექტორთა შორის;

2003 წლიდან იგი არის დამფუძნებელი და წამყვანი არქიტექტორი არქ, კომპანიისა - "Atelier YaNa".

ოცწლიანი პროფესიული საქმიანობის შედეგად, განახორციელა სამოცდაათზე მეტი არქიტექტურული და დიზაინერული პროექტი, მათ შორის საფრანგეთში, იტალიაში, ტუნისში, ყაზახეთში, ირანში.

დაჯილდოებულია „საპატიო ოქროს ორდენით“ აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირის მიერ.

ალიევი ერთადერთია აზერბაიჯანელ არქიტექტორთა შორის, რომელსაც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მიენიჭა პირველი ხარისხის ორდენი.

ამჯერად, ელჩინ ალიევის მრავალრიცხოვანი ნამუშევრებიდან, წარმოგიდგენთ, ქ. ბაქოში განხორციელებულ საცხოვრებელი ბინის და შემოქმედებითი კლუბის „ქიშმიში“-ს ინტერიერებს.









# Guest of Honor

AZERBAIJANI ARCHITECT
## ELCHIN ALIYEV

Date of Birth: 09.18.1967

Place of Birth: Baku

Education: Azerbaijan Institute of Engineering and Construction (graduated with Distinction Diploma)

Years of Studies: 1984-1989

Major: Architecture

Probation: S.V.S.T. (Slovakian Higher Technical School, Bratislava)

Graduation Project: Reconstructing Socio-Spatial Arrangement of Baku City's Centre (First Award at the International Competition in Paris, as well awards by Unions of Architects of the USSR, Germany, Austria and Czechoslovakia)

Other Awards: Best Young Architect of Azerbaijan (2002, 2004)

First Premium, "Best Applied Design of Public Interior", by ItalDesign and Azerbaijan Union of Architects

Golden Emblem, by Azerbaijan Union of Architects

First-Rank Order of Reverend Sergey Radonejskiy, by Russian Orthodox Church (the only person to be awarded among Azerbaijan architects)

Working Experience: Private Licensed Practitioner













Professor, Azerbaijan Institute of Engineering and Construction

Professor, Western University

Chairman, South-Caucasian Branch, USSR Union of Architect-Students (1988-1991)

Authorized Representative of Vatican for Design and Construction of Saint Mary the Virgin's Immaculate Conception (Catholic) Church, Azerbaijan (2003-2006)

Founder and Chief Architect, "Atelier YaNa" (since 2003)

Professional Accomplishments: more than 70 projects including those in France, Italy, Tunisia, Kazakhstan and Iran

Professional Membership: Member, Azerbaijan Union of Architects (since 1989)

Member, Azerbaijan Union of Designers, (since 1998)

Member of Board, Azerbaijan Union of Architects (since 1994)

Titles: PhD (Architecture), 1998

In the present issue, we would like to present two interior design projects by architect Elchin Aliyev: apartment in Baku and art club "Kishmish" (Raisins)



# FORMITALIA

საიდუმლო არ არის, რომ იტალია - მსოფლიო ლიდერია დიზაინის სფეროში. მსოფლიოში განთქმული იტალიური ბრენდებიდან, უკომენტაროდ, გთავაზობთ ჩვენი კომპანიონი ფირმის FORMITALIA Luxury Group-ს მარკეტინგის მენეჯერის MARCO DI CAMERANA-ს მიერ მოწოდებული უახლესი კოლექციების ნიმუშებს, რომლებიც წელს მათ მიერ ექსპონირებული იქნა საფრანგეთში, პარიზში - "Maison&Objet Paris 2010-ს" საერთაშორისო გამოფენაზე, თებერვლის თვეში. ამჯერად, შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ დიზაინერული ფრაგმენტები შემდეგი კოლექციებიდან: FORMITALIA Boutique collection, TONINO LAMBORGHINI casa, MIAMI SWING

By Renzo Arbore design Cappellini/Licheri, MIRABILI Arte d'Abitare.















FORMITALIA Luxury Group პარიზში წარმოადგენდა ცნობილი იტალიელი დიზაინერების საინტერესო ნამუშევრებს. ნივთები ამ ინოვაციურ კომპანიებთან, ცნობილი არქიტექტორების და ავტორების ნაყოფიერი თანამშრომლობის ნათელი მაგალითია.

გამოფენის შთაგონების წყაროდ იქცა ხელოვნების სხვადასხვა დარგი, როგორიცაა დეკორატიული ხელოვნება, შიდა დიზაინი და მოდა - იტალიელების შემოქმედების, ფანტაზიის და ინოვაციის თანდაყოლილი უნარი.

FORMITALIA Luxury Group featured the most interesting works by great Italian designers. Designs clearly show the efficiency of fruitful cooperation of these innovative companies with famous architects and designers.





# გამოფენა

2010 წლის 20 იანვარს გალერეა "ვერნისაჟში" გუგა კოტეტიშვილის და გოგი ოქროპირიძის ნამუშვრების გამოფენა გაიხსნა. იგი 5 თებერვლამდე გაგრძელდა.

გუგა კოტეტიშვილს საზოგადოება კარგად იცნობს, რაც შეეხება გოგი ოქროპირიძეს, იგი, რამდენიმე წელია ავსტრიაში ცხოვრობს და რკინაზე მუშაობს. გამოფენაზე, მისი, მხოლოდ სამი ობიექტი იყო წარმოდგენილი. კონსერვის ქილებისგან შექმნილ ნამუშევრებში, მაგალითად: "ოცნების ვაგონი" სერიიდან "შინისაკენ და უკნა", რკინა და შუშაა გამოყენებული. სულ მალე, გოგი ოქროპირიძე სამშობლოში ისევ ჩამოვა და დამთვალიერებლის წინაშე უფრო შთამბეჭდავად წარსდგება.

გამოფენას, ძირითადად გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრები ქმნიდა, რომლებიც განსაკუთრებული კოლორიტით და განსხვავებული თემატიკით გამოირჩეოდა. აქცენტირებული იყო ყურძნის გამოსახულება. ამით ხელოვანი მეღვინეობაზე გამოცემული წიგნის დათვალიერებისას დაინტერესდა.

ერთი შეხედვით, „მარტივი" დიზაინის შესაქმნელად, აღნიშნა, საგანგებოდ დამუშავდა წაბლის ხის მასალა - მას სიძველის ეფექტი უნდა ჰქონოდა. ავეჯი ღვინის ყუთების ასოციაციას იწვევს და მიზანიც სწორედ ეს იყო.

გამოფენაზე კიდევ რამდენიმე საინტერესო ნივთი იქნა ექსპონირებული. მათ შორის განსაკუთრებულია ორი ტორშერი, რომლებიც შექმნილია რკინით, ღვინის ბოცებითა და ყურძნის გამოსახულებიანი ქსოვილებით.

აღნიშნული ექსპოზიცია იმითაც გამოირჩეოდა, რომ იქ გუგა კოტეტიშვილის მიერ აკვარელში, ზეთსა და ფანქარში შესრულებული ნამუშევრებიც გამოიფინა. იყო, როგორც კოლაჟები, ასევე შუშის ბოთლებიც, რომლებზეც ავტორისეული ხელწერით, ძველი ფოტოების ანაბეჭდებია გაკეთებული.

ნინო ლალიძე





















# Exhibition



On January 20-February 5 2010 Vernissage Gallery hosted exhibition of Guga Kotetishvili's and Gogi Okropiridze's works.

Georgian public knows Guga Kotetishvili very well. As regards Gogi Okropiridze, who moved to Austria several years ago, he works on metals. For instance, his composition "Dream Carriage", belonging to series "Home and Away", is made of cans, iron and glass. In the near future Gogi Okropiridze plans to pay another visit to his home country and make a better acquaintance with Georgian art connoisseurs.

The present exhibition mainly consisted of Guga Kotetishvili's works, distinguished for their vividness and original themes. The author was pointedly focused on grape theme – the interest evoked by a book on viticulture, which he happened to read some time ago.

According to the author, prior to creation of furniture with seemingly simple design, looking as if it was assembled from wine boxes, he had to specially process chestnut wood in order to give it aged look.

Apart from furniture, decorated with grape-patterned cushions, the exhibition included several other interesting objects. Of these, the most curious were two floor lamps concocted of iron, large wine bottles and grape-patterned fabric.

Exposition visitors could also see Guga Kotetishvili's watercolor, oil and crayon works, including collages and glass bottles, on which the author reproduced old photos.

NINO LAGHIDZE





# ნიკო კეკელიძე - 50



ის ვინც ნიკუშა კეკელიძეს კარგად იცნობდა უთუოდ იპოვნიდა მის მსგავსებას გურამ რჩეულიშვილის "ალავერდობის" პერსონაჟთან, რომელიც ჟამგადასულ, უთავბოლო დროსტარებში გათქვეფილ თანამედროვეთა უმოძრაო ყოფას უპირისპირდება, როდესაც ალავერდის ტაძრის გუმბათის სიმაღლიდან სამშობლოს ულამაზესი სანახებით მოხიბლული გმირი შეგვახსენებს – "ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაშიო".

ნიკუშა მიეკუთვნებოდა იმ ახალგაზრდებს, რომელთაც თავიანთი სისხლსავსე ცხოვრებით გაიბრწყინეს და დააკლდნენ ქალაქს, ვინც თავიანთი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მოასწრო ბევრი სასიკეთო საქმე, ვინაც შემოქმედის საჭრეთელი გვერდზე გადადო და ძნელბედობის ჟამს სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

ნიკუშა მიეკუთვნებოდა იმ ხელოვანთა რიგს, ვინც შეძლო ღვთით მონიჭებულ ტალანტთან ერთად ორგანიზატორული ნიჭი საზოგადოებრივი, საქმიანობა ადამიანთა საერთო, საჭირბოროტო ინტერესების და საშური საქმეების სამსახურში დაეყენებია.

ნიკუშა მიეკუთვნებოდა უკომპრომისო ადამიანთა რიცხვს, ვინც ღიად უპირისპირდება ჩვენს იმდროინდელ რეალობაში მოძალებულ მანკიერებას, სიცრუეს, ღალატს, ვინც ებრძოლა ბოროტს, და ვისი სიცოცხლეც უსამართლობასთან ბრძოლას შეეწირა.















დაიბადა 1960 26 თებერვალს, თბილისში
1976 დაამთავრა 55 საშუალო სკოლა
1978 ჩააბარა სამხატვრო აკადემიაში
1983 დაამთავრა ინტერიერის დიზაინის სპეციალობით
1982 პერსონალური გამოფენა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში.
სტუდენტობის წლებში თამაშობდა რეგბს-გამოდიოდა "შევარდენის, "ლოკომოტივის" "აკადემიის" გუნდებში. მოგვიანებით ვარჯიშობდა კარატეში, იყო თბილისის ჩემპიონი.
1984 პერსონალური გამოფენა "მერანის" საგამოფენო დარბაზში
1986 მხატვართა კავშირის წევრი
1983-1990 ასრულებს საზოგადოებრივი და კულტურული ცენტრების და გასართობი ობიექტების ინტერიერებს თბილისში, ბათუმში, ფოთში, ტოლიატში, კუიბიშევში, სამარაში.
1986 - შექმნა სამშენებლო დიზაინერული ფირმა "უნივერსალი"
1988 - ავტორი პირველი "ხალხური შემოქმედების სალონის" ვენაში. ავსტრია.
1989 - ავტორი არქიტექტურული ანსამბლის "ქართული მოედანი". ჰაიდელბერგში, გერმანია
1989 - აფორმებს ვერის ბაღს თბილისში,რესტორან "თამარიონის" ინტერიერს, კაფე-ბარს "მიხაკი"
1989 - ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით აფუძნებს საქართველო-ავსტრიის ერთობლივი ფირმას"დარაბა". ფირმის არსებობის მანძილზე მოხერხდა ორასამდე მხატვრის ნამუშევრების კავშირის ფარგლებს გარეთ გატანა
1990-1991 ინიციატორი და ორგანიზატორი თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენის ავსტრიაში გერმანიაში და ბელგიაში.
1990 - იღებს აქტიურ მონაწილეობას ქართული არმიის ჩამოყალიბებაში, ეროვნული გვარდიის შექმნაში.
1992-1993 - იღებს მონაწილეობას კრემლის მიერ ინსპირირებულ ომში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში
1993 - იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მეთაური.
1994 - ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში
1995 - მიენიჭა-ვახტანგ გორგასლის ორდენი
1996 - ეროვნულ გალერეაში, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო ნიკო კეკელიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. იმავე წელს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა მისი გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა.
1999 - სამხედრო აკადემიის ფოიეში მოეწყო სანდრო ვაჩეიშვილის და ნიკუშა კეკელიძის გამოფენა.
2003 - პროფკავშირების კულტურის სახლში თავდაცვის სამინისტოს ეგიდით ჩატარდა მემორიალური გამოფენა.
ნიკო კეკელიძის ნამუშევრები დაცულია: ავსტრიის, გერმანიის,რუსეთის, აშშ-ს, კანადის კერძო კოლექციებში.

# NIKO KEKELIDZE - 50




Those who knew Niko Kekelidze, will surely remember "Alaverdoba" and recognize Niko in Guram Rcheulishvili's character, who climbed to the dome of Alaverdi Cathedral, driven by unbearable immobility of his contemporaries, bogged down in interminable idle diversion, and - charmed with the beauty of boundless landscapes spread out far below his feet - exclaimed "The passion lies in process of creation, not in enjoying its fruits".














Nikusha kekelidze was born in Tbilisi 1960. 26.02
In 1978 he entered the faculty of appliedart of the state academy of arts and graduated it in 1983 with the speciality of the artist of designing interiors
1982 he had first personal exhibition in Tbilisi
1988 he took part in the decorative design of the Georgian Cultural Centre in Vienna, Austria.
1989 he author of architectural ensemble “Georgian square” in Haidelberg. Germany
1990-1992 was organizer of young Georgian artists eshibitions in Vienna, in Antverpen, in Haidelberg.
1992 - he served in army.
1994 - he dead in Tbilisi
1996 - was held memorial exhibition in Georgian National GaLery . Tbilisi.
Works of Nikusha kekelidze are found in the private collections in Austria,Germany, Russia,USA.









კომპოზიცია - ქაღალდი, ტემპერა, სუსალური ოქრო, ტონირებული თითბერის ჩარჩო; მინიატურული ნამუშევარი.
Miniature composition – paper, tempera, tinsel, copper frame

# ახალი გამოფენა



ბაია გალერეა – გალერეა ტელესკოპი წარმოგიდგენთ ლევან მარგიანის პერსონალურ გამოფენას. გამოფენა გაიხსნება 2010 წლის 25 მარტს 17 საათზე.

ლევან მარგიანმა თანამედროვე ქართული ხელოვნების სფეროში შემოიტანა რელიგიური მინიატურის ახალი ტიპი, სადაც სინთეზურად გამოიყენა ქართული კულტურული მემკვიდრეობის – მინიატურის და ჭედურობის ტრადიციები.

ეს ძირითადი პრინციპი ლევან მარგიანის ნამუშევრებში საინტერესო ტრანსფორმაციას განიცდის - მხატვარი სინთეზის ახალ საშუალებებსაც იყენებს – ქვის ფილებზე შესრულებული მოხატულობების, ხის მოხატული ზარდახშების და კერამიკული დეკორატიული ობიექტების სახით.

კულტურული მემკვიდრეობის და ქართული მინიატურის ტრადიციის ასეთი გათანამედროვება მიმდინარეობს კანონიკური იკონოგრაფიის დაცვით. ფაქტობრივად იქმნება უნიკალური ტიპის ნამუშევრები, შესრულებული ძვირფასი მასალით (ვერცხლი, ჯიღჯილა ოქრო), რომელიც თანამედროვე ქართულ რელიგიურ მხატვრობაში ქმნის სრულიად ახალ მიმართულებას, სადაც გათვალისწინებულია რელიგიური მხატვრობისთვის მეტად მნიშვნელოვანი კულტურული ტრადიცია და კანონიკური მოთხოვნები, ასევე თანამედროვე ხელოვნების მაჩვენებლები. ანუ იქმნება ახალი ორიგინალური ტიპის ხელოვნება.



ზარდახშა - მოხატული ხე, ვერცხლის ფილიგრანი, მარგალიტი, ოქრო 31X22X12 სმ.
Chest – painted wood, silver filigree, pearls, gold; 31Ч22Ч12 cm

**ლევან მარგიანი**
დაიბადა 1965წ.
1983-89 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე.
**პერსონალური გამოფენები:**
1994 – გალერეა "ფიტმანი" თბილისი, საქართველო
1998 – ა.შ.შ. საელჩო, თბილისი, საქართველო
1999 – საგამოფენო დარბაზი "Cour des Saints-perez-16", პარიზი, საფრანგეთი
2000 – გალერეა "ჰობი" თბილისი, საქართველო
2000 – X – 2000-ის გენერალური კომისრის საპატიო სტუმართა დარბაზი, ჰანოვერი, გერმანია
2001 – გალერეა "ორიენტი", თბილისი, საქართველო
2001 – ლევან მარგიანის და მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების გამოფენა. სასტუმრო "ჰილტონის" საგამოფენო დარბაზი, ნიქოზია, კვიპროსი
2003 – ბატონ ჟან-ლუი დროოზის სახლი, პარიზი, საფრანგეთი
2004 - "ბაია გალერეა", თბილისი, საქართველო "Tagis Art"-ის ხელშეწყობით
2006 - გალერეა "ჰობი" თბილისი, საქართველო
2007 - გალერეა "შარდენი" თბილისი, საქართველო
2007 – წმ. პავლეს ტაძარის კულტურული ცენტრი, ლონდონი, ინგლისი
2008 - გალერეა "შარდენი" თბილისი, საქართველო
2010 - გალერეა "შარდენი" თბილისი, საქართველო



კრავი - დაფა, ლევკასი, ტემპერა, ოქრო, ვერცხლი; ჩარჩო - ვერცხლი, ვერცხლის ფილიგრანი, მარგალიტი 11,5X10 სმ.
Lamb – board, tempera, gold, silver; frame – silver, silver filigree, pearls; 11.5Ч10 cm



ძველი სახლი - დაფა, ლევკასი, შერეული ტექნიკა, ოქრო, ტონირებული თითბერი, ვერცხლის ფილიგრანი, მარგალიტი 39X37 სმ.
Old house – board, mixed technique, gold, copper, silver filigree, pearls; 39Ч37 cm



ზარდახშა - ხე, ლევკასი, სუსალური ოქრო, ვერცხლი, ვერცხლის ფილიგრანი, ძვირფასი თვლები, ტიხრული მინანქარი; მინიატურული ნამუშევარი.
Chest – miniature; wood, tinsel, silver, silver filigree, gems, cloisonne enamel



ლარნაკი - ავტორი მ. იზორია, ტემპერა, ოქრო 29X14X15 სმ.
Vase – designed by M. Izoria; tempera, gold; 29Ч14Ч15 cm

# New Exhibition



Baia Gallery – Telescope Gallery present personal exhibition of Levan Margiani. The exhibition will launch on March 25 2010, 17:00; address: 8/10 Erekle II Street; tel.: 99532-982014.

Levan Margiani enriched Georgian art with a new type of religious miniature, in which he combined historical Georgian miniature and embossing techniques.

In Levan Margiani's works, the main principle of synthesis undergoes a curious transformation, which the author diversifies by exploring new materials and techniques, like painting on stone slabs and wood panels, decorative ceramics.

Such modernization of cultural heritage nonetheless incorporates all the rules of canonical iconography. The artist creates unique works, performed in fine materials (e.g. silver and gold), which represent a totally new direction in Georgian religious art, based on cultural traditions and canonical laws, so important for religious art, but also considering modern art achievements. In other words – new, original art is created.

**Levan Margiani**
Year of birth: 1965
1983-1989: Tbilisi State Academy of Art, faculty of Visual Art

**Personal Exhibitions**
1994: Fitman Gallery, Tbilisi, Georgia
1998: US Embassy, Tbilisi, Georgia
1999: Exhibition Hall Cour des Saints-Peres-16, Paris, France
2000: Hobby Gallery, Tbilisi, Georgia
2000: General Commissioner's Reception Hall, Hanover, Germany
2001: Orient Gallery, Tbilisi, Georgia
2001: Hilton Exhibition hall, Nicosia, Cyprus – exhibition of Levan Margiani and Merab Abramishvili
2003: House of M. Jean-Louis Droos, Paris, France
2004: Baia Gallery, Tbilisi, Georgia (with the support of TagisArt)
2006: Hobby Gallery, Tbilisi, Georgia
2007: Chardin Gallery, Tbilisi, Georgia
2007: Cultural Center at St. Paul Cathedral, London, Uk
2008: Chardin Gallery, Tbilisi, Georgia
2010: Chardin Gallery, Tbilisi, Georgia



"ორი გზა" - მათე 7.13-7.16 - დაფა, ლევკასი, შერეული ტექნიკა, სუსალური ოქრო, მოვერცხლილი თითბერის ჩარჩო.
"Two Paths" – Matthew 7.13-7.16 – board, mixed technique, tinsel, silver-plated copper frame



ლარნაკი - ავტორი მ. იზორია, ტემპერა, ოქრო 20X30 სმ.
Vase – designed by M. Izoria; tempera, gold; 20Ч30 cm



იგავი ცათა სასუფევლის შესახებ - მათე 13.47-13.49 - დაფა, ლევკასი, შერეული ტექნიკა, სუსალური ოქრო, მოვერცხლილი თითბერის ჩარჩო, ვერცხლი, ვერცხლის ფილიგრანი, ტიხრული მინანქარი
Parable of the Kingdom of Heaven – Matthew 13.47-13.49 – board, mixed technique, tinsel, silver-plated copper frame, silver, silver filigree, cloisonne enamel

მათე მახარებელი და შობა - ქაღალდი, ტემპერა, სუსალური ოქრო, მოოქროვილი ხე, ვერცხლი; მინიატურული ნამუშევარი.
Matthew the Evangelist and Christmas – miniature; paper, tempera, tinsel, gilded wood, silver



იგავი ხე კეთილისა და ხე ბოროტის შესახებ - დაფა, ლევკასი, შერეული ტექნიკა, მოხატული ჩარჩო; მინიატურული ნამუშევარი.
Biblical Parable – miniature; board, mixed technique, painted frame









# ვახო ბულაძის გამოფენა La Strada "გალა" გალერეაში

26 თებერვალს გალა გალერეაში ვახტანგ ბულაძის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენა სახელწოდებით “ლა სტრადა” პირველი პერსონალური გამოფენაა გალა გალერისთვის. ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, რომლებიც საგანგებოდ გალერეის საგამოფენო სივრცისთვის შეიქმნა ერთიანი კონცეპცია აერთიანებს.

გალა გალერიის დამფუძნებელი დედიკა ბულია თვლის რომ გალერიის წარმატებისთვის არ არის აუცილებელი თბილისური სალონებისთვის კარგად ნაცნობი, კომერციული ნამუშევრების გამოფენა. დღევანდელ ქართულ სახელოვნებო სივრცეს სჭირდება იმ მხატვრების წარმოჩენა, რომლებიც არ არიან ორიენტირებული კომერციაზე და ყოველ გამოფენაზე ახალ და საინტერესო ნამუშევებს გვთავაზობენ.

ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები გალერეის არასტანდარტულ სივრცეში ერთიანი კონცეპციით იკვრება. ისინი არა მხოლოდ იდეით არამედ ფორმით და ფერით არინ ურთიერთკავშირში. ამგვარად ექსპოზიცია ერთიან იდეურ და მხატვრულ კავშირს ქმნის რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა რომ ფერწერა დღესაც არ კარგავს აქტუალობას.















შპს
# რადიო საქართველო

**შედეგი გარანტირებულია**



# სასარგებლო იპოთეკა




თანამონაწილეობა 0%-დან

## შექმენით თქვენი ოცნების სახლი

ბაზისბანკი
BASISBANK
სასარგებლო ბანკი

922 922
www.basisbank.ge